ახალგაზრდა
პედაგოგთა კავშირი

ხანდაზმულთა დაწესებულებებში ბენეფიციართა მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა

(ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუების
ანალიტიკური ანგარიში)

2017

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

კვლევა განხორციელდა პროექტის ფარგლებში „სოციალური და საგანმანათლებლო ინიციატივები - მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის“ ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი: **მარინა თოფურია**

ანგარიშზე მუშაობდნენ: **იაგო კაჭკაჭიშვილი** (ანალიტიკური ჯგუფის ხელმღვანელი)
სალომე ქინქლაძე
სოფო დავითური
კოკა კიღურაძე (იურიდიული ექსპერტი)

სარჩევი

სარჩევი 2

კვლევის მეთოდოლოგია 5

ძირითადი შედეგები 7

შესავალი:
საქართველოში არსებული ხანდაზმულთა დაწესებულებების მიმოხილვა 9

1. სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები 11
   - 1.1. რესპონდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წარსულში 11
   - 1.2. დასაქმება 12
   - 1.3. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება 13
   - 1.4. საკუთრება 13
   - 1.5. ჯანმრთელობის მდგომარეობა 16

2. ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან 17
   - 2.1. მეუღლესთან ურთიერთობა 17
   - 2.2. ოჯახის სხვა წევრებთან და ნათესავებთან ურთიერთობა 18

3. ხანდაზმულთა სახლში მოხვედრის მიზეზები 21
   - 3.1. საკუთარი საცხოვრებლის არქონა 21
   - 3.2. შევიწროება (abuse) ოჯახის წევრების მხრიდან 22
   - 3.3. ოჯახისგან გაუცხოება 23
   - 3.4. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა 24
   - 3.5. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა 24
   - 3.6. ოჯახის წევრის გარდაცვალება 24

4. სოციალური მუშაკის შეფასება 26

5. ხანდაზმულთა სახლის შეფასება 26

6. ხანდაზმულთა სახლში ცხოვრების მიმართ დამოკიდებულება 28

კანონმდებლობის ანალიზი –
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა 30

1. ანალიზის მიზანი 30

2. ანალიზის პროცესში გამოყენებული მასალები 30

3. კანონმდებლობის ანალიზი 30
   - 3.1. სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემა 32
   - 3.2. სოციალური დახმარების წყაროები 34

3.3. ხანდაზმულთა განთავსება სპეციალიზირებულ დაწესებულებებში 34
3.4. ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტები 37
3.5. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) მექანიზმი 38
3.6. შვილების მოვალეობები მშობლების მიმართ 39
3.7. სამისდღეშიო რჩენა 39

4. სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკა 40
4.1. საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის ძირითადი მიმართულებები და მიზნები..... 41
4.2. ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში გასათვალისწინებელი საკითხები 42
4.3. საპენსიო რეფორმა 43

5. რეკომენდაციები..... 44

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანს** წარმოადგენდა საქართველოში არსებულ ხანდაზმულთა თავშესაფრებში ბენეფიციარების განთავსების მიზეზების გამოვლენა, იმის დადგენა, თუ როგორი გამოცდილების და ბიოგრაფიის ადამიანები წარმოადგენენ თავშესაფრებში მოხვედრის რისკ-ჯგუფს.

კვლევა ჩატარდა ხანდაზმულთა სახლების ბენეფიციარებთან თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევის მიზნების შესასრულებლად გამოყენებული იქნა **ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს მეთოდი.** ეს უკანასკნელი აქცენტს აკეთებს ინდივიდების გამოცდილებებზე, პერსპექტივებსა და დამოკიდებულებებზე და, ამავ-დროულად, აღიარებს მათ დროით-სივრცით განსაზღვრულობას. ამ შემთხვევაშიც, სამეცნიერო შესწავლის მიზნების შესაბამისად, კვლევა ცდილობდა დაკვირვებით გასცნობოდა რესპონდენტების პერსპექტივას ხანდაზმულთა სახლში ცხოვრებასთან დაკავშირებით.

სულ ჩატარდა 38 ინტერვიუ. კვლევის ინსტრუმენტი იყო ნახევრად-სტრუქტურირებული გზამკვლევი, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ღია კითხვისგან. მიუხედავად ამისა, თითოეული ინტერვიუს განმავლობაში იცვლებოდა მათი ფორმულირება, რიგითობა და ჩნდებოდა ახალი კითხვები. ინტერვიუები იწერებოდა აუდიო-ფირზე, რის შესახებ ინფორმაციაც წინასწარ მიიღეს რესპონდენტებმა. იდენტიფიცირებადი ინფორმაცია კვლევის მონაწილეების შესახებ წაიშალა; ეთიკური მიზეზების გამო, მათი სახელები შეცვლილია ფსევდონიმებით.

ბიოგრაფიულ-ნარატიულ ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს 5 ქალაქში არსებულ შემდეგ 8 ხანდაზმულთა თავშესაფრებში:

- თბილისი: „დიოდორა“, „თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი“, „ჩემი ოჯახი“, „ბეთელი“;
- სიღნაღის რ-ნი: „თაობათა კერა“;
- წნორის რ-ნი: „უზრუნველი სიბერე“;
- ოზურგეთის რ-ნი: ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ხანდაზმულთა სახლი „ანასეული“;
- ქუთაისი : „ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი“.

ინტერვიუებში მონაწილეთაგან 23 ქალია, ხოლო 15 – მამაკაცი. მათი ასაკი მერყეობს 62-92 წლებს შორის. ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუების რესპონდენტთა შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- საქართველოში არსებული ხანდაზმულთა თავშესაფრის ბენეფიციარის სტატუსი;
- გეოგრაფიულ-ტერიტორიული წარმომადგენლობა (საველე სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში);
- წარსულში მომხდარი ფაქტების გახსენების (რეფლექსიის) უნარი.

თითოეული ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ საშუალოდ, დაახლოებით, 1.5 საათი გრძელდებოდა. რაც შეეხება რესპონდენტებთან დაკავშირებას, ეს მოხდა კონკრეტული ხანდაზმულთა სახლების ადმინისტრატორებთან შეთანხმების შედეგად წინასწარი ვიზიტის საფუძველზე. ხანდაზმულთა სახლში ვიზიტის პირველ დღეს თავშესაფრის ადმინისტრატორთან გასაუბრებისა და რესპონდენტების შერჩევის შემდეგ, ამ უკანასკნელთაგან ინტერვიუზე თანხმობის მიღების და ასევე იმ მიზნით, რომ ბენეფიციარები ინტერვიუსათვის მზად ყოფილიყვნენ (რამდენადაც ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ საჭიროებს რესპონდენტებისაგან წარსულში მომხდარი ფაქტების გახსენებას, ზოგიერთი შემთხვევა კი, შესაძლოა, ტრავმულ გამოცდილებას უკავშირდებოდეს), ხდებოდა მათთან შეხვედრა. ხოლო მომდევნო დღეებში კი უკვე უშუალოდ ბენეფიციარებთან ინტერვიუს ჩატარება.

ინტერვიუების დასრულების შემდეგ მოხდა მათი გაშიფვრა, ანუ მომზადდა ტრანსკრიპტები. შემდეგ მონაცემები თემატურად გაანალიზდა. ეს მეთოდი შეირჩა მისი მოქნილობის გამო. თავდაპირველად, მოხდა მონაცემების რამდენჯერმე წაკითხვა, ძირითადი ფრაზების გამოყოფა და მათი კოდირება. შემდეგ კი ეს კოდები ტრანსფორმირდა თემებად. თითოეულ თემაში გამოიყო სუბ-თემები. ძირითადი თემები განხილული იქნება მომდევნო თავებში.

ძირითადი შედეგები

ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუები ჩატარდა რესპონდენტებთან ხანდაზმულთა სახლებში, რომელთა ასაკიც 62-92 წლებს შორის მერყეობს. 38 რესპონდენტიდან 23 მდედრობითი სქესის წარომადგენელია.

მონაწილეები საუბრობდნენ და აფასებდნენ გარემოსა და პირობებს ხანდაზმულთა სახლში და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, თუ რამ განაპირობა მათი მოთავსება აღნიშნულ დაწესებულებაში. რესპონდენტების საუბრის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხებოდა მათ ოჯახებს, განსაკუთრებით, შვილებსა და შვილიშვილებს. შესაბამისად, თემები, რომლებიც ანალიზის პროცესში გამოიყო, ძირითადად, ეხება რესპონდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს, მათ ოჯახს, ხანდაზმულთა სახლში წასვლის მიზეზებსა და ამ მიზეზების შეფასებას.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ თითოეული რესპონდენტის ბავშვობა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ახალგაზრდა ასაკში ერთმანეთისგან განსხვავებულია. მხოლოდ რამდენიმე საერთო მახასიათებელი გამოიკვეთა, მათ შორის ის, რომ რესპონდენტები, ძირითადად, მრავალშვილიან ოჯახებს მიეკუთვნებოდნენ; რაც შეეხება დასაქმებას, თითქმის ყველა მათგანი წარსულში იყო დასაქმებული; რესპონდენტებს, ძირითადად, ჰქონდათ საშუალო ან პროფესიული განათლება.

რამდენადაც კვლევის მონაწილეთა მატერიალური მდგომარეობა ახალგაზრდა ასაკში განსხვავებული იყო, ეს მიუთითებს, რომ მათი ხანდაზმულთა სახლში ყოფნა არ არის დაკავშირებული ბავშვობასა და ახალგაზრდობაში მათ მძიმე მატერიალურ მდგომარეობასთან. თუმცა, შემდგომ პერიოდში მათი ეკონომიკური მდგომარეობა რთულდება და, უპირველესად, ეს ეხება საკუთრებაზე უფლებას და მის ფლობას. თითქმის არცერთ რესპონდენტს არ ჰქონდა საკუთრება. ეს პრობლემა თითქმის ყველა მათგანს აწუხებს. მათ საკუთრებაში არსებული ბინა ან გაიყიდა, ან მიისაკუთრეს, ან თავად გადასცეს ოჯახის სხვა წევრებს. იყო შემთხვევებიც, როცა რესპონდენტებს საერთოდ არ ჰქონდათ საკუთრება. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით ხშირად ახასიათებთ ქალ რესპონდენტებს, რაც ნიშნავს, რომ ეს საკითხი გენდერულად განპირობებულია.

იმ რესპონდენტების დიდი ნაწილი, ვისაც შვილები ჰყავს (უმრავლესობა დაოჯახებული იყო და შვილებიც ჰყავს), ხშირად საუბრობს მათზე. რესპონდენტების უმრავლესობა, ძირითადად, იმედგაცრუებულია საკუთარ შვილებთან ურთიერთობით. ამის ორი ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა: უყურადღებობა და შვილების მხრიდან არასათანადო მოპყრობა. ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც ძალადობას, ასევე მშობლების შემოსავლის (ძირითადად, პენსიის) მისაკუთრებას. კვლევის მონაწილეები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ შვილები მათ მიმართ სათანადო ყურადღებას არ იჩენენ, იშვიათად ნახულობენ და ეკონტაქტებიან მათ.

კვლევა ფოკუსირდება იმაზე, თუ რა არის ხანდაზმულთა სახლში რესპონდენტების განთავსების მიზეზები. მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ეს მათივე ნებით მოხდა. თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებას სხვადასხვა მოტივაცია ედო საფუძვლად. გამოიკვეთა რამდენიმე მიზეზი: საკუთარი საცხოვრებლის არქონა; მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა (სიღარიბე); ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა; ოჯახის წევრის გარდაცვალება; შევიწროება (abuse) ოჯახის წევრების მხრიდან და ოჯახისგან გაუცხოება (ანუ, რესპონდენტების განცდა, რომ ისინი ზედმეტები არიან ოჯახში). ოჯახის წევრთა მხრიდან შევიწროებას, ძირითადად, აქვს ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის ფორმა. თუმცა, ხდება ფიზიკური ძალადობის შემთხვევებიც (ცემა, ღირსების შემლახავი გარემოს შექმნა და სხვ.).

შესაბამისად, ხანდაზმულთა სახლების ფუნქციაა ასაკოვანი პირების ღირსეული სოციალიზაცია, რაც გულისხმობს ბენეფიციართა საცხოვრებლით უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის დაცვას, ეკონომიკურ რეაბილიტაციას, არაძალადობრივი კომუნიკაციის შესაძლებლობას და სხვ.

საკუთრივ, ხანდაზმულთა სახლით კვლევის მონაწილეები, ძირითადად, კმაყოფილები არიან. მომსახურე პერსონალს, გარემო პირობებსა და სამედიცინო მომსახურების ხარისხსაც ისინი დადებითად აფასებენ. სახლების სხვა ბენეფიციარებთან ურთიერთობაც, ძირითადად, თანამშრომლურია. თუმცა, კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნება არის ის, რომ მიუხედავად რესპონდენტების ხანდაზმულთა სახლის (როგორც მომსახურების) მიმართ გამოხატული კმაყოფილებისა, მტკივნეულად განიცდიან მათი, ამგვარ გარემოში ცხოვრების ფაქტს. რესპონდენტებისთვის ხანდაზმულთა სახლში ცხოვრება დაკავშირებულია სირცხვილის განცდასთან, ანუ სტიგმას წარმოადგენს. ბენეფიციართა ნაწილი ამბობს, რომ მათ ამ ინსტიტუციაში ცხოვრება არ დაუმსახურებიათ, ეს მათთვის ტვირთია ან სასჯელი. ამასთან ერთად, ისინი განიცდიან იმასაც, რომ მათთან იშვიათად მიდიან მნახველები. კვლევის ეს შედეგი მიუთითებს, რომ ხანდაზმულთა სახლში მიდიან ადამიანები მოწყვლადი ჯგუფებიდან, რომლებიც, სხვა არჩევანის შემთხვევაში, სავარაუდოდ, არ წავიდოდნენ იქ საცხოვრებლად.

შესავალი:
საქართველოში არსებული ხანდაზმულთა დაწესებულებების მიმოხილვა

დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს ხანდაზმულთა ორი დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულება – თბილისისა და ქუთაისის პანსიონატები, რომლებსაც ადმინისტრირებას უწევს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. ამ ეტაპისთვის მოცემულ დაწესებულებებში განთავსებულია სულ 161 ბენეფიციარი (თბილისში – 73, ქუთაისში – 88).

დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებები არის ქალაქად მდებარე, ინსტიტუციური მოწყობის მომსახურება, რომლებშიც ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან თავშესაფრით, კვებით, ჰიგიენის დაკმაყოფილებით, სამედიცინო მომსახურებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლიდან, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში“ გათვალისწინებულ „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ახალ სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა ხანდაზმული პირები. აღნიშნული მომსახურება წარმოადგენს ხანდაზმულთა პანსიონატების ალტერნატივას. სათემო მომსახურება მაქსიმალურად მიახლოებულია ოჯახურ გარემოსთან, ამასთან, მისი მცირე ზომის მატერიალური ბაზა, კომფორტულ და მყუდრო საარსებო სივრცეს უქმნის ხანდაზმულებს, როგორც ინდივიდუალური (საძინებელი), ისე საერთო მოხმარების (სამზარეულო, დერეფანი, შეხვედრების/სასტუმრო ოთახები) ფართებში. ამასთან, სათემო მომსახურებები, უმეტესად მოქმედებს პატარა თემებში (სოფლად ან პატარა ქალაქად), რომელთაც აქვთ საკუთარი ეზო, სამეურნეო ნაკვეთი, რომელშიც ბენეფიციარებს შეუძლიათ დაისვენონ, ჩაერთონ ეზოს კეთილმოწყობის/გალამაზების, შინამეურნეობის საქმიანობებში.

ხანდაზმულთა პანსიონატში და სათემო ორგანიზაციაში ხანდაზმული პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, რომლის თანახმადაც, ზემოაღნიშნულ მომსახურებებში მოთავსებას ექვემდებარება ხანდაზმული, ასევე შშმ პირი 60 წლის ასაკიდან, გარდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირისა, ხოლო სათემო ორგანიზაციაში მოთავსებას ექვემდებარება ხანდაზმული (მათ შორის, შშმ პირი, გარდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირისა).

სოციალური მუშაკის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, სათემო ორგანიზაციაში, ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში გადაუდებელი წესით პირის განთავსებაზე, სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყ-

ვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე.[1]

პირის ხანდაზმულთა ან შშმ პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში მოთავსების საკითხი რეგიონული საბჭოს მიერ განიხილება ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებსა და სათემო ორგანიზაციებში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრის რიგითობის მიხედვით, შემდეგი თანმიმდევრობით – სხვა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებიდან გადასაყვანი ბენეფიციარები, სკოლა-პანსიონის 18 წელს მიღწეული აღსაზრდელები და, ამ წესის შესაბამისად, გადაუდებელი წესით განსათავსებელი პირები, ასევე, ის პირები, რომლებსაც უფრო ადრე აქვთ სააგენტოში წარდგენილი განაცხადი არაფულადი მომსახურების თაობაზე, ჩამოთვლილი რიგითობის მიხედვით.

სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებასთან ერთად რეგიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ დაწესებულებაში ბენეფიციარის სრული სახელმწიფო დაფინანსებით/თანადაფინანსებით/დაფინანსების გარეშე მოთავსების თაობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატში მომსახურების მიღების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას ამტკიცებს ფონდი სამინისტროსთან შეთანხმებით.

---

[1] მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოები შეიქმნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებაში დამატების შეტანის საფუძველზე (მუხლი 5[1]). ცვლილება შევიდა 2010 წლის 8 თებერვალს გამოცემული ბრძანების საფუძველზე (ბრძანების ნომერი 32/ნ). შესაბამისად, რეგიონული საბჭოების ისტორია ამ თარიღიდან იწყება.

1. სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

თითოეული თემატური ბლოკის განხილვამდე, მნიშვნელოვანია, რესპონდენტთა ძირითადი სოციო-დემოგრაფიული მონაცემების აღნიშვნა. ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუები ჩატარდა ხანდაზმულთა სახლებში რესპონდენტებთან, რომელთა ასაკიც 62-92 წლებს შორის მერყეობს. 38 რესპონდენტიდან 23 მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია, თუმცა კვლევის ზოგიერთი მონაწილე უკრაინიდან, პოლონეთიდან ან სომხეთიდანაა.

1.1. რესპონდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წარსულში

კვლევის მონაწილეები საუბრობდნენ საკუთარ ბავშვობაზე, მშობლებზე, დედმამისშვილებსა და ბავშვობის ისტორიაზე. ძირითადად, ისინი მიეკუთვნებოდნენ მრავალშვილიან (4-9 შვილიან) ოჯახებს. რესპონდენტები ბავშვობაში საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას უფრო ხშირად ნეიტრალურად (არც დადებითად, არც უარყოფითად) აფასებენ. ისინი, ვისაც მშობლები ჰყავდა და მათთან ერთად იზრდებოდა, ძირითადად, იხსენებდნენ უპრობლემო და მშვიდ ბავშვობას. თუმცა, მაგალითად, გიორგი (80 წლის, ქვრივი), საუბრობს იმაზე, რომ მისი ოჯახი მუშათა კლასის წარმომადგენელი იყო და ეკონომიკურად უჭირდათ: „ახლა რომ ვაკვირდები ჩემს ცხოვრებას, არ არის სასიამოვნო. [...] სულ გაჭირვება მქონდა.“ ზოგიერთ რესპონდენტს მშობელი ადრე გარდაეცვალა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ბავშვთა სახლში გაიზარდა. ნაზი (75 წლის, ქვრივი), რომელსაც მამა გარდაეცვალა, ასეთ ისტორიას იხსენებს:

> „მამის გარდაცვალების შემდეგ, მული მოვიდა დედასთან და უთხრა, ქუთაისში არის უდედმამო ბავშვთა სახლიო, იქნებ ბავშვები დროებით მაინც წავიყვანოთო. გაგიჟდა დედაჩემი, ეს მახსოვს. მე და ჩემი პატარა ძმა, 6 თვის იყო მაშინ, დედამ მიგვიყვანა მაინც ამ უდედამამო ბავშვთა სახლში. რადგან მშობელი გვყავდა, არ მიგვიღეს. გარეთ რომ გამოვედით, დედაჩემმა დაგვსვა ბოლო კიბეზე, დამაჭერინა ჩემი ძმა ხელში და დაგვტოვა. ალბათ, შორიახლოდან გვიყურებდა, სანამ არ შეგვიყვანდენ. იქ ვიზრდებოდით კარგა ხანი. სკოლის ასაკის რომ გავხდი, მიშვილა ქალმა [...] შემდეგ ბიოლოგიური დედა მოვიდა და ორივეს წაყვანა უნდოდა. დირექტორმა უთხრა, ვიღაცა წაიყვანს და გზაზე დააყენებსო, შენ როგორ უნდა არჩინო, ქმარიც არ გყავსო. მე დამტოვა და პატარა ძმა წაიყვანა. იმის მერე გამაშვილეს [...] თავს ვგრძნობდი კარგად, ვსწავლობდი ბეჯითად, სიყვარულით მივლიდნენ, არაფერი არ მაკლდა. დედა და ოჯახი რომ მახსენდებოდა, ძალიან ცუდად მოქმედებდა ჩემზე. ერთ დღეს ავად გავხდი – ბატონები დამემართა [...] ვაბოდებდი თურმე ჩემს პატარა ძმას და ოღონდაც გადაგვირჩეო და წაგიყვანთ და გაგაცნობთ დედმამისშვილებსო. 600 მანეთი გადაიხადეს ტაქსში და წამიყვანეს, დამტოვეს 1 კვირა. მერე მე თვითონ მოვითხოვე დაბრუნება. ცოტა ხნის შემდეგ წამოვიყვანე ჩემი ძმა.“

ნაზის მსგავსად, ის რესპონდენტები, რომელთაც ბავშვობაში დაეღუპათ მშობელი ან მშობლის გარეშე იზრდებოდნენ, აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, თუ როგორ უჭირდათ მათ გარეშე; გარდა ამისა, საკუთარი ოჯახის რთულ მატერიალურ მდგომარეობაზე საუბრობდნენ კვლევის ის მონაწილეებიც, რომელთა ბავშვობა ან ახალგაზრდობაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. ქეთევანი (85 წლის, ქვრივი) ამბობს, რომ ომის პერიოდში მისმა ოჯახმა სიღარიბე გამოიარა და ფეხსაცმელიც კი არ ჰქონდა სკოლაში სასიარულოდ. ზოგიერთი რესპონდენტი ამბობს, რომ მათი ბავშვობა, ძირითადად, დაკავშირებული იყო შრომასთან და ოჯახის შენახვასთან. მაგალითად, ალექ-

სანდრე (72 წლის, ქვრივი) ამბობს, რომ მესამე კლასიც ვერ დაამთავრა, მუშაობდა, რათა მშობლები და 6 დედმამიშვილი ერჩინა.

შესაბამისად, რესპონდენტების უმრავლესობის ეკონომიკური მდგომარეობა მათი ბავშვობის პერიოდში არ იყო ძალიან მძიმე. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი რთულ ეკონომიკურ პირობებზე საუბრობენ. ძირითადად, ასეთი შემთხვევები დაკავშირებულია მშობლის გარდაცვალებასთან ან ომის პერიოდთან.

1.2. დასაქმება

კვლევის მონაწილეების უმრავლესობას საშუალო, არასრული საშუალო ან პროფესიული განათლება აქვს მიღებული. არიან ისეთი რესპონდენტებიც, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა მუშაობდა. რესპონდენტი ქალები, ძირითადად, მუშაობდნენ პედაგოგებად, ექიმებად, ექთნებად, დამლაგებლებად, სანიტრებად, ბუღალტრებად, ფარმაცევტებად. ბევრი მათგანი მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნებშიც. ერთ-ერთი რესპონდენტი, მედეა (77 წლის, ქვრივი), იხსენებს, თუ როგორ გახდა ფიზიკოსი და მუშაობდა საკუთარი პროფესიით:

> „სამედიცინო უნდოდათ დედას და მამას, მერე უნივერსიტეტის წინ ჩავიარე და დიდი აბრა დავინახე და ფიზიკა ეწერა. ავირჩიე ფიზიკა, ჩავაბარე მისაღები გამოცდა წარმატებით. დავამთავრე, დავიწყე მუშაობა, გათხოვილი არ ვიყავი. თბილისში დავიქირავე ბინა, ვაკეში. ვმუშაობდი [...] ფიზიკოსად, მთავარი კონსტრუქტორის განყოფილებაში ვიყავი. ძალიან მაღალი ხელფასი მქონდა. მომცა სამსახურმა დიღმის მასივში ოროთახიანი ბინა. ძალიან მდიდრულად ვცხოვრობდი.“

თუმცა, მედეასგან განსხვავებით, სხვა რესპონდენტები იშვიათად საუბრობენ კარგ ეკონომიკურ პირობებზე. რესპონდენტი ქალები, ძირითადად, ამბობდნენ, რომ ჰქონდათ სტაბილური სამსახური, სადაც წლობით მუშაობდნენ, თუმცა ზოგიერთი მათგანი ხაზს უსვამდა იმას, რომ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამო, უწევდათ რამდენიმე სამუშაოს შესრულება. სოფიო (82 წლის, ქვრივი) საუბრობს სწორედ რამდენიმე პოზიციის შეთავსების აუცილებლობაზე მისი ოჯახისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 30 წელი მედდის პოზიციაზე მუშაობდა, როგორც თავად ამბობს, სანამ ქმარი დასაქმდებოდა, ძალიან უჭირდათ. თუმცა შემდეგ შეითავსა ორი დამატებითი სამსახური – მუშაობდა სამრეცხაოში და დამლაგებლად. სოფიოს თქმით, ამის შემდეგ, მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. ზოგიერთი რესპონდენტი ქალი საუბრობს სამსახურისთვის თავის დანებების აუცილებლობაზეც. ხათუნა (77, დაოჯახებული), ყვება შემთხვევაზე, როდესაც, ქმრის მოთხოვნის შესაბამისად, შეწყვიტა მუშაობა:

> „მე ვმუშაობდი [...] აფთიაქში [...] მერე რო გავთხოვდი, ქმარმა მითხრა, [...]ვეღარ იმუშავებო. მე ცოლი ჩემთვის მოვიყვანეო, მე ვუთხარი, იქ გოგოები მუშაობენ და რაზე ეჭვიანობ-თქო და არაო, გზაში ვინმემ რომ შემოგხედოსო?! მეც წინააღმდეგობა აღარ გავუწიე.“

რესპონდენტი კაცები, ძირითადად, იყვნენ მძღოლები, სამხედროები, ინჟინრები, მექანიკოსები. ზოგიერთი მათგანი ეწეოდა მეურნეობასაც. მამუკა (92 წლის, დაოჯახებული), სამხედრო სამსახურის მერე, იძულებული გახდა ემუშავა:

> „მომიწია 1949 წელს, მაისის თვეში, თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ რომ ჩამოვედი, ჭირდა ცხოვრება. მაშინ იყო ასეთი სიტყვა, რომ ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს. მე ჭამაც მიყვარდა, შრომაც. ფული რომ ამეღო, იძულებული გავხდი, მესწავლა მეყალიბობა. ყალიბებს ვაკეთებ-

დი, ვასხამდი ფორმებში. პენსიაზე გავედი 1972 წელს. ძალიან ჭირდა ცხოვრება [...] დავიწყე საორთქმავლო დეპოში ცეცხლფარეშად მუშაობა, მერე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ვმუშაობდი. მერე სადაც ვიმუშავე, სულ მძიმე საქმეზე ვარ ნამუშევარი, ვიყავი აქტიური [...] წამახალისებელ პრემიას გვაძლევდნენ, ვინც აქტიური იყო და გამოიგონებდა აპარატს, შეღავათს გვაძლევდნენ და ხელს გვიწყობდნენ. მე ბევრი გამოგონების ავტორი ვარ, მაგრამ ის ცნობები აღარ მაქვს ყველა."

როგორც მონაცემებიდან იკვეთება, რესპონდენტების უმრავლესობა დასაქმებული იყო და წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე. ზოგიერთი მათგანი ხანდაზმულთა სახლშიც ახერხებს, იყოს აქტიური. მაგალითად, მაკა (70 წლის, ქვრივი) აღნიშნავს, რომ ცდილობს მონაწილეობა მიიღოს სპექტაკლებში და გამოფენებში, რომლებიც დაწესებულებაში ან მის გარეთ ხორციელდება.

1.3. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება

კვლევის მონაწილეები ხანდაზმულთა სახლში პენსიით ცხოვრობენ. ძალიან მცირეა მათი რაოდენობა, ვისაც მატერიალურად ოჯახის წევრები ეხმარებიან. რესპონდენტების უმრავლესობა საუბრობს იმაზე, რომ მათი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა მძიმეა. ზოგიერთი მათგანი საუბრობდა იმაზე, რომ მისი ოჯახი თავიდანვე ასეთ სიტუაციაში იყო და გადარჩენისთვის ბრძოლა უხდებოდა.

ზოგიერთი რესპონდენტის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც საპენსიო ასაკის გახდა და პენსიის მიღება დაიწყო. ზოგიერთი მათგანი კი ბანკის ვალებზეც საუბრობს. უფრო ხშირად იკვეთება გარკვეული შემთხვევები, რომელთაც გამოიწვიეს მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მაგალითად, ოჯახის წევრის ავადმყოფობა და ა.შ. ასეთი პრობლემების შემდეგ, რესპონდენტები ამბობენ, რომ მოუწიათ სხვადასხვა ნივთის (მანქანის, სამკაულების, როიალის და ა.შ.) გაყიდვა:

„ყველაფერი დავყიდეთ [შვილს შეექმნა პრობლემები], თეფშები იაპონური, [...] კოვზი არა მაქვს, რომ ვჭამო. [...] 500 წიგნი გვაქვს. რა არ გავყიდეთ და წიგნები ვერ გავიმეტეთ. ნაქირავებში ვერ გავჩერდებოდი, საწოლი არ გვქონდა, ყველაფერი დაყიდა." (ქეთევანი, 85 წლის, ქვრივი).

თუმცა, ეკონომიკური მდგომარეობაზე საუბრისას რესპონდენტები ყველაზე მეტად ყურადღებას უთმობდნენ საკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ეს უკანასკნელი კვლევის თითქმის ყველა მონაწილეს ჰქონდა.

1.4. საკუთრება

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რესპონდენტებისთვის **ყველაზე პრობლემური საკუთრების** საკითხია. თითქმის ყველა მათგანს შეექმნა საცხოვრებლის საკუთრების პრობლემა და დაკარგა კიდეც ის. კვლევის მხოლოდ რამდენიმე მონაწილეს აქვს გამოუყენებელი საკუთრება. მაგალითად, მზია (ქვრივი) ამბობს, რომ მშობლების სახლი აქვს, რომელიც დაკეტილია, *„ვითომ მე უნდა წავსულიყავი, რომ გავიდოდა ზამთარი, მაგრამ ვერ წამიყვანა [მისმა შვილმა] და აქ კმაყოფილი ვარ, აქა ჯობია."*

ზოგიერთ შემთხვევაში, რესპონდენტები საუბრობდნენ იმაზეც, რომ მათი სახლი ან ინგრევა, ან საცხოვრებლად გამოუსადეგარია.

საკუთრებაში საცხოვრებლის არქონის ორი ყველაზე გავრცელებული მიზეზი გამოიკვეთა ინტერვიუების დროს: ა) მისი გაყიდვა (თავად რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ) და ბ) მისაკუთრება ოჯახის სხვა წევრის მიერ. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რესპონდენტი საკუთარი ნებით უტოვებდა საკუთრებას ოჯახის სხვა წევრებს, ყველაზე ხშირად, შვილებს.

საკუთრების გაყიდვა ხშირად ხდებოდა რესპონდენტის ნების გათვალისწინების გარეშე, თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თავად კვლევის მონაწილემ გაყიდა ბინა. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა იყო, თუმცა, დიდ ნაწილს ჰქონდა კონკრეტული პრობლემები, მაგალითად, დასაფლავების ხარჯების ანაზღაურება, ოჯახის წევრის ავადმყოფობა და ა.შ. ეს ტენდენცია კარგად ჩანს ხათუნას (77 წლის, დაოჯახებული) ინტერვიუდან:

> „მე [...] ვცხოვრობდი ჩემი ქმრის სახლში. ქმრის მშობლების სახლი იყო. ჩემი მშობლების სახლი გაიყიდა. პირველი ქმრის ავადმყოფობის გამო ბინა გავყიდე, განა შენზე ძვირფასია ეს ბინა-თქო და გავყიდეთ, მაგრამ მაინც ვერ ვუშველე. მე და შვილი დავრჩით ქუჩაში."

ზოგიერთ შემთხვევაში, ბინა იყიდებოდა იპოთეკური სესხის გადაუხდელობის გამო. ეს კარგად ჩანს ქეთევანის მონათხრობიდან, რომელიც ამბობს, რომ რამდენიმე ბინა გაყიდა იპოთეკური სესხის *გამო: „ბანკი ძალიან ღლიტავს. მე გაჩვენებ კრედიტებს, 900 ლარი მაქვს მაგათი ვალი."*

ყველაზე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ბინას ყიდდა თავად რესპონდენტის ოჯახის წევრი: შვილი, შვილიშვილი, რძალი და ა.შ. მაგალითად, ალექსანდრეს (72 წლის, ქვრივი) თქმით, 4 ოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ ის და მისი შვილები, რომლებმაც დაოჯახების შემდეგ, ბინის გაყიდვა და დანაწილება გადაწყვიტეს:

> „წელიწადნახევარი ვიარე, ნოტარიუსთან ვიყავი. მითხრა, შენ ვინა ხარო. სად აღარ წავედი, მერიაშიც ვიყავი, ჯანდაცვაშიც, სამინისტროშიც. ყველაფერი ჩაწყობით ჰქონდათ. ვერსად გზა ვერ ვიპოვე... გაყიდეს, გაინაწილეს. დავრჩი გარეთ [...] არაფერი არ გამომივიდა."

ყველაზე ხშირად ასეთი შემთხვევები რესპონდენტების შვილებს უკავშირდებოდა. მაგალითად, სოფო ამბობს: *„ბიჭმა [მისმა შვილმა] რომ დაამთავრა საშუალო [სკოლა], ამერიკაში უნდოდა წასვლა. გამიყიდა ბინა, როიალი [...]. ახლა ასე ვართ. მე აქ ვარ, ისინი იქ არიან."* მაკას (ქვრივი) ინტერვიუს მიხედვით, მისმა შვილმა გაიგო, რომ ნაშვილები იყო, საბუთები მოიპარა, სახლი გაყიდა და წავიდა საზღვარგარეთ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბინა იყიდებოდა ამის საჭიროების გარეშე:

> „[რესპონდენტის შვილმა თქვა] ბიზნესის დაწყება მინდაო, დამღუპა და დამაქცია, [...] ფული არ ჰქონდა. ორთაჭალაში ხილით სავსე 1500 მეტრა მიწით ბინა ჰქონდა ჩემს ქმარს, ისიც გაგვაყიდინა, ჩემი დიღმის სახლიც გაგვაყიდინა. [გარკვეული თანხა] ისესხა ვიღაცა ბიზნესმენისგან. მომივიდა წერილი, თუ თქვენი შვილი ამ ვალდებულებას შეასრულებსო, [გარკვეული თანხა] თქვენი შვილის იქნებაო. გავყიდეთ ყველაფერი, ეს ნასესხები ფული ვეღარ დააბრუნა 1 წელიწადში უკან და დაიჭირეს, იმიტომ დაიჭირეს, რომ ეს მოგება თვითონ უნდოდათ." (მედეა).

იყო რამდენიმე ისეთი შემთხვევაც, როდესაც კვლევის მონაწილემ თავად დაუტოვა სახლი საკუთარ შვილებს, შვილიშვილებს ან ოჯახის სხვა წევრებს. ამის მიზეზად რესპონდენტები ხშირად ოჯახის ზომას და/ან ფართის სიმცირეს ასახელებენ: *„გოგოებს ბინას ხომ ვერ წავართმევდი, 18 სული არის იმ ბინაში და რო-*

გორ მივიდე...“ ზოგიერთი რესპონდენტი საუბრობს იმაზეც, რომ დედმამიშვილებს შორის ქონების გაყოფა (ძირითადად, კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში) ისე მოხდა, რომ მათგან ერთ-ერთი დარჩა საკუთრების გარეშე.

როგორც უკვე აღინიშნა, ხშირად რესპონდენტები საუბრობდნენ იმაზეც, რომ მათი საკუთრება ოჯახის რომელიმე წევრმა (ან სხვა გარეშე პირმა) მიისაკუთრა. ზოგიერთი რესპონდენტი ყვება, რომ ის მოტყუებით გამოასახლეს და ბინა წაართვეს ნათესავებმა. მაგალითად, ლეილა (75, ქვრივი) იხსენებს:

„ომის შემდეგ [საუბარია აფხაზეთის ომზე] [...] ჩავედი და შენობა გავყიდე [...] მეზობელმა იყიდა [...] [ნაწილზე] დამითქვა, მერე მოგცემო, მერე ეს ბიჭი სოხუმში მოკლეს. მე გერმანიაში ვიყავი და ჩემმა გოგომ გაყიდა სახლი. ჩემ სახელზე იყო ეს სახლი და მაინც გაყიდა და როგორ – არ ვიცი. ყველაფერი შეიძლებოდა მაშინ. [...] მდგმურად ვიყავი ყოველთვის, ჩემთვის. მითუმეტეს ჩემს გოგოს ბინა როცა ჰქონდა, ცოლ-ქმარს არ ვუშლიდი ხელს. ჩემთვის მარტო ვიყავი, დავბაჩუნობდი, დავდიოდი. ის რომ გაყიდა, ის სახლი აღარ ეყო, იაფად გაყიდა სასახლე. სოფელი გავყიდე, კიდევ იმ თანხის გარდა დანადგარები მქონდა რესტორანში და ისიც გავყიდე, და ეს ყველაფერი მოვუგროვე და სახლი ვუყიდე თბილისში. [გერმანიიდან] რომ ჩამოვედი, ის სახლიც გაყიდული დამახვედრა ჩემმა გოგომ. ძალიან ვინერვიულე [...] მეზობელს უთქვამს, გერმანიაში ვივლიო მანქნებს ჩამოვიყვანო და იმას ჩაუდო სახლის ფული. მოიგეს ერთი ორჯერ და მერე გათამამდნენ და წააგეს ფული. დავრჩით უბინაოდ.“

მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პატერნები განსხვავებულია კაცებსა და ქალებს შორის. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ქალები უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მათ საკუთრება არ დარჩათ მშობლებისგან. უმეტესწილად ისინი არც საუბრობდნენ საკუთრების უფლებაზე: *„ის სახლი [საუბარია მშობლების სახლზე] დაკეტილია და ჩემი ძმის მფლობელობაშია, რომელიც ცხოვრობს რუსთავში. ყავს ძალიან კარგი ოჯახი, სასიქადულო მამულიშვილები ყავს შვილები“.* ამის შემდეგ, ინტერვიუერი მას ეკითხება, დარჩა თუ არა საკუთრება მშობლებისგან, რაზეც თამარა ასე პასუხობს: *„მე რა უნდა დამრჩენოდა, არც არაფერი. უბრალოდ, ამის წინააღმდეგი კი არავინ იყო, მაგრამ ჩვენ დედმამიშვილობა გვქონდა ისეთი, რომ...“*

ქალი რესპონდენტები ყვებიან ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მათი კუთვნილი სახლ-კარი ოჯახის მამრობითი სქესის წარმომადგენელმა წევრებმა წაიღეს. ნინო (79, განქორწინებული) სწორედ ასეთ შემთხვევაზე საუბრობს, როდესაც მამის სახლი, რომელიც მოგვიანებით დაინგრა (მას შემდეგ, რაც მისი დედა მეორედ გათხოვდა), მისმა ბიძებმა მიითვისეს. ლალის (68 წლის, გაშორებული) კი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მაზლმა და მამამთილმა წაართვეს მეუღლის აშენებული სახლი. ზოგიერთი რესპონდენტი საუბრობს იმაზეც, რომ მისი საკუთრება დაუტოვა ნათესავებს, მაგალითად, ხატია (83 წლის, ქვრივი) ამბობს, რომ მისი მამის დანატოვარ სახლში მისი ძმისშვილები ცხოვრობენ.

რესპონდენტი ქალების შემთხვევაში, რომელთაც ჰყავდათ ძმები, ქონება ძმებს რჩებოდათ. როგორც ანა (80 წლის, დაუოჯახებელი) ამბობს:

„მე დაოჯახებული არ ვყოფილვარ, ვიყავი ჩემი მშობლების ოჯახში და ახლაც ვარ იქ, მშობლები რომ გარდაიცვალნენ, დარჩა ორი სახლი, ერთი სახლი და მეორე -სამზარეულო, მარანი და ის. შემდეგ ჩემმა ძმამ ერთი სახლი გაყიდა. იცოდა ჩემმა ძმამ, რომ მე იმას წინააღმდეგობას არ გავუწევდი, იმის [სახლის] პატრონი ის იყო. მეორეს დააშენა 2 სართული და ეს შენდებოდა ჩემს სახელზე. ამ კაცს არ ჰქონდა გაფორმებული ეს სახლი და ჩემმა ძმამ მომთხოვა მემკვიდრეობის აღდგენა. ჩემმა ძმისშ-

ვილმა რომ დაამთავრა, ჩავიწერე მე და საბუთები არ გამიფორმებია, ვიფიქრე, რად მინდა-თქო. აღვუდგინეთ მე და ჩემმა ძმისშვილმა ჩემს ძმას მემკვიდრეობა. ეს იყო 1989 წელი. [...] მერე ძალიან მალე ჩემი ძმა გარდაიცვალა, მერე რომ დაამთავრა ამ ჩემმა ძმისშვილმა. [...] რომ ამოვწერე ამაზე გადაირია ჩემი რძალი, ის სახლი, მემკვიდრეობით მიღებული სახლი, გაყიდეს და სიძემ იყიდა. შემომიბრუნდა ამ ჩემს სახლზე, რომელშიც ვცხოვრობდი, შევარდნაძის დროს სად იყო კანონი და სამართალი და წამართვეს ჩემი მამისეული სახლი. მიითვისა და ერთ პატარა ოთახში, რომელშიც სინათლეც კი არ იყო, დამტოვა მე. არც მაქცევდნენ ყურადღებას. მერე იძულებული გავხდი და წამოვედი აქ. ბოდიში და ღორი არ ეყოლება კარგ პატრონს, მე რომ ვიყავი, იმ დღეში."

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კაცს არ ჰქონია ასეთი შემთხვევა. დაჩის (75 წლის, ქვრივი) მონათხრობის მიხედვით, *„პრივატიზაციას ხომ აკეთებდნენ ბინების, [...] ვისზე გავაფორმო, რომელ შვილზე-მეთქი. დედაჩემზეო, მითხრეს. [...] ბავშვების ხათრით გავაკეთე. საერთოდ ამომწერა იქედან. ის ადამიანია ახლა? ბავშვებს ვეცი პატივი. მე გამოგდებული არ ვარ. მე პირდაპირ გეტყვით, უბრალოდ, ბავშვებს ვეცი პატივი."*

ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ საკუთრების პრობლემა თითქმის ყველა რესპონდენტს აწუხებს. მათი არსებული საკუთრება ან გაიყიდა, ან უკანონოდ მიისაკუთრეს, ან თავად გადასცეს ოჯახის სხვა წევრებს. ასევე გამოიკვეთა ისიც, რომ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები ხშირად გენდერულად განპირობებულია, რაც იმას გულისხმობს, რომ ქალებს საკუთრებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ტიპის პრობლემები ახასიათებთ. უპირველესად, ეს გულისხმობს იმას, რომ ისინი იშვიათად არიან ან იყვნენ საკუთრების მფლობელები.

1.5. ჯანმრთელობის მდგომარეობა

რესპონდენტებიდან თითქმის ყველა საუბრობს იმაზე, რომ აქვთ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა. ზოგიერთ მათგანს აწუხებს გული, წნევა, ფილტვები, სახსრები. რამდენიმე მათგანს აქვს ქრონიკული დაავადებაც, ისეთი, როგორიცა

2. ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან

2.1. მეუღლესთან ურთიერთობა

მონაწილეების სრული უმრავლესობა ქვრივია. ორი რესპონდენტი დაოჯახდა ხანდაზმულთა სახლში. დაუოჯახებელი რესპონდენტების რაოდენობა ძალიან მცირეა. მეუღლეზე საუბრისას კვლევის მონაწილეები ხშირად იხსენებდნენ დაოჯახების ისტორიას, განსაკუთრებით, რესპონდენტი ქალები. ისინი ხშირად საუბრობდნენ გარიგებით ქორწინებასა და მოტაცებაზე. სოფო ასე იხსენებს საკუთარ ისტორიას:

„სკოლა დავამთავრე, 11 კლასი. არაა, კი არ დავამთავრე. რაღაცა უნდა ვთქვა. XI კლასლ ში ვიყავი, როცა მომიტაცა ერთმა. როცა ვამბობ, მომიტაცა-მეთქი, ზოგს სასაცილოდ ეჩვენება. მომიტაცა, ხო , არ ვიცნობდი. ერთხელ ვიყავი მამიდაჩემთან სოფელში [...] და იქიდან რომ წამოვედი, ჩამომყვა. 1 კვირით. პირველში [პირველ სექტემბერს] სწავლა დავიწყე. მერე ჩემებმა არ მომაკითხეს. რომ მოეკითხა ვინმეს, წამოვიდოდი. იმას თბილისში უნდოდა წამოსვლა. [...] სექტემბრის ბოლო იყო, როცა ჩამოვიდა და ჩემმა მეგობარმა მომიყვანა სკოლაში. სკოლაში რომ შემხვდნენ, მანქანით იყვნენ. 5 ძმაკაცი იყო. წავედი სახლში. ის გოგო მეორე დღეს ისევ უნახავთ. ჩამისვა მანქანაში, მიმიყვანა სახლში. მერე მომიტაცა. არ უნდა იყო რბილი ადამიანი... რას ქვია, არ დავჯდებოდი იმ მანქანაში. [...] ხათრიანი ვარ. მე მყავდა შეყვარებული, მარა ჯარში წავიდა. რომ გაუგია და დაუწყია ტირილი, მთელი პოლკი გაოგნებული იყო. დღესაც ტირის. სასადილოში თუ შევხვდით, მაშინაც ტირის. ახლა ცოლ-შვილიც ჰყავს.“

შეუღლების ისტორიის გარდა, კვლევის მონაწილეები ყურადღებას ამახვილებდნენ მეუღლესთან ურთიერთობაზეც. ამ კუთხით, რესპონდენტების მონათხრობიდან მნიშვნელოვანი ტენდენცია არ იკვეთება. ზოგიერთი მათგანი კმაყოფილი იყო მეუღლესთან ურთიერთობით, ხოლო ზოგიერთი – ნაკლებად. მაგალითად, თამარა აღნიშნავს, მისი მეუღლე ძალიან სამართლიანი კაცი იყო და 22 წელი მასთან კარგ ურთიერთობაში გაატარა. თუმცა იმის გამო, რომ მისი მეუღლე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო, ხშირად იჩაგრებოდა. რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მეუღლე რომ ცოცხალი ჰყოლოდა, ისინი არ აღმოჩნდებოდნენ ხანდაზმულთა სახლში: *„ძაან კაი მეუღლე მყავდა. მაგრამ ცხრა ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, დამეღუპა... ის [მეუღლე] რომ ცოცხალი მყოლოდა, მე აქ რა მინდოდა. მე აქ ერთი წამი არ გამაჩერებდა.“ (ალექსანდრე, 72 წლის, ქვრივი).*

რაც შეეხება მეუღლესთან რთულ ურთიერთობას, ამის მიზეზები განსხვავებული იყო რესპონდენტი ქალებისა და კაცების შემთხვევაში. რამდენიმე რესპონდენტი კაცი ახსენებს, რომ მისმა ცოლმა თვითნებურად გადაიფორმა ქონება. გიორგი ამბობს, რომ მისი და მეუღლის დაშორების მიზეზი ერთმანეთისთვის ვერ გაგება და ჩხუბი იყო, მათ შორის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

რაც შეეხება ქალ რესპონდენტებს, მათი მეუღლეებთან უთანხმოების რამდენიმე ძირითადი მიზეზი გამოიყო, მათ შორის ყველაზე ხშირად საუბრობდნენ ეჭვიანობაზე, ძალადობასა და ღალატზე. მეუღლის მხრიდან მათ ღალატზე რამდენიმე რესპონდენტი საუბრობს, მათ შორის, ქეთევანიც(85 წლის, ქვრივი), რომლის მეუღლეც, საბოლოო ჯამში, სხვა ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. ლამარა (83 წლის, ქვრივი) საკუთარ მეუღლესთან ურთიერთობას ასე იხსენებს:

„ჩემი მეუღლე მეგრელი კაცი იყო, ჩქარი. მე რაჭველი და ძალიან ნელი. მერე ვფიქრობდი, რომ გავთხოვდები, ხომ ეუხეშებიან ქმრები, მეც დამიწყებს-მეთქი, ვიფიქ-

> რე, ნელი ხარო. არც ერთხელ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, თუ რამე იყო, ვერ ვასწრებდი, თვითონ აკეთებდა ამას. რამდენჯერაც სტუმარი მოვიდოდა, მაშინვე მეტყოდა, მიდი სუფრა გაამზადეო. ერთხელ მითხრა, რა კუკლასავით წამომჯდარხარ მაქო, მე თუ ვერ გამოვიტანდი, გამოიტანდა მერე. თუ კარგ ხასიათზე იყო, მიმღერებდა, სახელებს მარქმევდა, ერთი ცუდი ჩვევა ჰქონდა, ეჭვიანი იყო. გინდა უფროსი ყოფილიყო ჩემზე, გინდა რამე. კი არ წამეჩხუბებოდა, 1-2 კვირა გამებუტებოდა. არ ვეკითხებოდი, არც ვაწუხებდი. ერთხელ წამოსცდა და მიყვირა. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. თურმე ეჭვიანობს იმაზე, შვილად რომ შემეფერება. მერე გაუვლიდა ესეც. სიმღერას დაიწყებდა, ხალისიანი იყო. [...] მერე ტიროდა უჩემოდ, აქ რომ წამოვედი. ყოველ მეორე დღეს მირეკავდა, სიყვარულს მეფიცებოდა. 23 წელი ვიყავით ერთად. ჩემს სიყვარულს გეფიცებიო მითხრა, აქ რომ მომაკითხა. მაშინ ვნახე უკანასკნელად. მასაც უნდოდა აქ წამოსვლა."

ეჭვიანობაზე აქცენტს აკეთებს სოფოც და ნანობს, რომ არ გაშორდა მეუღლეს: „ცხოვრება არ გვქონდა ტკბილი. მაშინ გაცილება ძალიან სირცხვილი იყო, ოჯახის დანგრევა და შევეწირე. ახლა ვარ ქვრივი. ხან მეტყვიან, გათხოვება ხომ არ გინდაო. რა სისულელეა. კაცების უმრავლესობა ეჭვიანები არიან. საშინელი ცხოვრებაა. რომ შეატყობ, ცუდი პირობები გაქვს, ხომ გამოამჟღავნებენ თავიანთ ხასიათს, თავს უნდა უშველო. თორემ მთელი ცხოვრება გამწარებული – საშინელებაა. შეიძლება რომ გავშორებულიყავი, ისიც ვინმე კარგს შეხვდებოდა, მეც რამეს ვიფიქრებდი. მარა, ამან ეს არ თქვას, ის არ თქვას. რას იტყვის ხალხი... მაგას შევეწირეთ ჩვენ. რას იტყვის, კაცო, შენი ცხოვრება მოიწესრიგე. სამსახურში რომ მივდიოდი, კარგად თუ გამოვიყურებოდი, გიჟდებოდა. საშინელება იყო. [...] ძაღლური ცხოვრება მქონდა. ეს არ უნდა გააკეთოს ქალმა. უნდა უშველო შენს თავს. [...] ხელიც დაურტყამს ჩემთვის. საშინელი ცხოვრება მქონდა. მაშინ სირცხვილი იყო ოჯახის დანგრევა, როგორ შეიძლებოდა. [...] მე სულ სხვა ადამიანი ვიქნებოდი, ოჯახი რომ ადრე დამენგრია. ბედისწერა ალბათ ასე იყო."

მეუღლესთან ურთიერთობას მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს რესპონდენტთა ინტერვიუებში, განსაკუთრებით, ნეგატიურ გამოცდილებას, თუმცა ისინი გაცილებით ხშირად გამოხატავენ იმედგაცრუებას საკუთარი შვილებით.

2.2. ოჯახის სხვა წევრებთან და ნათესავებთან ურთიერთობა

კვლევის მონაწილეების მცირე ნაწილს შვილი არ ჰყავს ან გარდაეცვალა, უმრავლესობას ჰყავს შვილები. ისინი, როგორც წესი, საკუთარ ოჯახთან ერთად ცხოვრობენ. თუმცა რესპონდენტების არცთუ მცირე ნაწილის შვილები საზღვარგარეთ მუშაობენ. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ოჯახის ფინანსური მდგომარეობაა: „არ აპირებს [მისი შვილი ჩამოსვლას], საშუალება არ აქვს, სახლი არ აქვს, არაფერი არ აქვს. 4 წელი უკლია, რომ პენსია აიღოს იქ და იმას ელოდება [...] შვილიშვილმა იურიდიული დაამთავრა, მერე გარმანიაში ჩავიდა, მაგისტრატურაში გასაგრძელებლად. და მერე [...] წაიყვანა ლექტორმა სამუშაოდ. 1 კაპიკს ვერ მიგზავნის, გაზომილი გვაქვს ყველაფერიო." (ლეილა). იმას, რომ ფულად გზავნილებს არ უგზავნიან საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრები, ამბობს კიდევ რამდენიმე რესპონდენტი: „ვერა, შვილო, ვერა-მეთქი [ვერ უგზავნიან ფულს], აქ გოგოსაც უგზავნის და არ მინდა-მეთქი, ვუთხარი. მე ჩემი პენსია მყოფნის, ჭამით აქ ვჭამ და რად მინდა ვიხარბო და ფულები მიგზავნონ." (მარიამი, 68 წლის, ქვრივი) ზოგიერთ შემთხვევაში, რესპონდენტის საზღვარგარეთ მცხოვრებ შვილებს საერთოდ არ აქვთ ურთიერთობა მშობლებთან.

აღსანიშნავია, ის ტენდენცია, რომ რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა საკუთარ შვილთან ურთიერთობით. ამის ძირითადი ორი მიზეზი გამოიკვეთა: შვილების მხრიდან არასათანადო მოპყრობა და უყურადღებობა. რამდენიმე მონაწილე ამბობს, რომ მათი შვილები არასათანადოდ ექცეოდნენ. ამ თემას ზოგიერთი რესპონდენტის მონათხრობში ინტერვიუს საკმაოდ დიდი ნაწილი უჭირავს: „ნერვიულია ჩემი ბიჭი, არ მინდა ეს ყველაფერი რომ დავილაპარაკო, შეურაცხყოფას მაყენებდა ძალიან, რომ დათვრებოდა ურევდა ხოლმე [...] 32 წლის არის ახლა. ცოლიც ჰყავს და შვილიც. გაცილებულები არიან. არც მინახია ის ბავშვი. პატარა კი, რომ დაიბადა, საავადმყოფოში დავრბოდი. არაფერი არ დამიფასეს, შვილო." (ქეთევანი, 85 წლის, ქვრივი).

რამდენიმე მათგანი საუბრობს შვილების მხრიდან მათზე ძალადობაზეც. ზოგიერთი იხსენებს, რომ შვილი მათ არასაცხოვრებელ პირობებში ამყოფებდა: „[შვილი] მე შემაგდებდა ხოლმე პლაშადკის ქვეშა, ამოშენებული იატაკი იყო. მაღლიდან ჩამომაგდეს. ჩემი აშენებული სახლიდან გამომაგდეს [...] ტანჯვაში და უბედურებაში ვიყავი. [...] კარგი, შვილო, ცხოვრებაში ნატანჯი ვარ, ასე უბედურებაში. მერე შვილიშვილს მზითევს ვყიდულობდი, იქნებ ჩემმა შვილმა ეს მაინც დაინახოს და ტკბილად მომექცეს-მეთქი და პატარა ლუკმა მაინც მომაწოდოს-მეთქი. ეს არ ქნა მაინც." (ლელა, 79 წლის, განქორწინებული).

ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ შვილები უხეშად ეპყრობოდნენ: „ახლა მიხდიან მადლობას, როცა იქ ვიყავი, მაშინ არ ვიყავი კარგი [...] უხეშად რომ მომექცნენ, არ მეკადრებოდა, რაც არ მეკადრებოდა, წამოვედი. მე რომ მაგათთან ვყოფილიყავი, მქონდა საშუალება... [...] მეტი არაფერი იყო ისეთი, მკლავდნენ, მირტყამდნენ, ასეთი რამეები არ ყოფილა. ჩემთვის ისიც საკმარისი იყო, უხეშად რომ გამცემდა პასუხს." (ქეთევანი, 85 წლის, ქვრივი).

კვლევის მონაწილეები ინტერვიუს პროცესში ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზეც, რომ შვილები ხშირად სარგებლობდნენ მათი პენსიით: „მე რომ პენსიას ვიღებდი, თავისთავად, მომქონდა საჭმელი, სიგარეტის ფულს ვაძლევდი [შვილს]. რამის ყიდვას არ მიზღუდავდა, რადგან ჩემი ფული იყო. უკვე სმამ ნევროზი დამართა, შაქარიც ჰქონდა. ვერაფრით მოვაშორებინე სმა [...] ისე ვიყავი, ბოლოს ისე ამომიყვანა ყელამდე, რომ ვამბობდი, რაც უნდა, ის მოუვიდეს-მეთქი." მარიამის მსგავსად, ნინოც ყვება, რომ შვილი და რძალი ააღებინებდნენ წინასწარ პენსიას ბანკიდან და იყენებდნენ ამ თანხას: „პურს რომ ვიყიდდი, დედაშენი ჭამსო. მე არ მეჭმებოდა ჩემი პენსია? ... ნერვიულია [შვილი] [...] რომ მთხოვდა [ფულს], ხომ არ დავაყაჩაღებდი რამეს. არ სჯეროდა, რომ არ მქონდა." მსგავსი ისტორია აქვს ქეთევანსაც (85 წლის, ქვრივი), რომელიც ამბობს, რომ როდესაც მის შვილს ფული აღარ ჰქონდა, ყველგან მას აგზავნიდა და მისი პენსიიდან ახდევინებდა თანხას. რესპონდენტების არცთუ მცირე ნაწილი ამბობს, რომ შვილებს დღემდე ეხმარებიან ფინანსურად, მაგალითად, უვსებენ მობილური ტელეფონის ბალანსს, და ა.შ. ნაწილი ამბობს, რომ მათი შვილები მათგან ფულის სესხებას ცდილობენ.

თუმცა ყველაზე ხშირად კვლევის მონაწილეები შვილების მხრიდან უყურადღებობაზე საუბრობენ. ძირითადად, გულდაწყვეტით აღნიშნავენ, რომ შვილებმა მათ არ დაუფასეს შრომა. ასეთი განწყობა იკვეთება რესპონდენტთა უმრავლესობის მონათხრობში. ალექსანდრე, მაგალითად, ამბობს, რომ შვილებმა უღალატეს და ამის შემდეგ აირია ყველაფერი. მისი თქმით, მისი მეუღლეც ამაზე ნერვიულობის გამო გარდაიცვალა. შვილების (ან შვილიშვილების) მხრიდან ყურადღება და მონახულება მნიშვნელოვანი საკითხია რესპონდენტებისთვის: „ერთხელ შვილიშვილმა [...] დამირეკა, საიდან, როგორ, არ ვიცი. სახლები რომ გავყიდე [...] მეზობელთან ვცხოვრობ-

დი [...] იმ მეზობელთან დარეკა, მომიკითხა, ჩემი შვილი რომ დავასაფლავე, ფეხები წამერთვა ნერვულ ფონზე. ეს ჩემი ამბავი რომ უთხრეს, დაუწყია ტირილი. მას მერე აღარც ვიცი სადაა, არ გამოჩენილა.“ (ეკა, 90 წლის, ქვრივი). ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ შვილებთან ურთიერთობა თავად გაწყვიტა: „ორი შვილი [მყავს], არ მაქვს კონტაქტი და არც მექნება. მე მაწანწალა არ ვარ, თუ არ უნდათ ჩემთან ყოფნა, მეც არ მინდა. ინტერნატში მიიყვანა ჩემმა სიდედრმა, ერთი პირველ კლასში იყო მეორე – მეორე კლასში. მოვიყვან ვინც გინათ იმას- თქო და გავაზრდევინებდი. ინტერნატში ზოგი რანაირი გამოდის, ზოგი რანაირი. მა შვილები რომ მნახულობდნენ, მე აქ რა მინდოდა?“

შვილებისა და შვილიშვილების გარდა, რესპონდენტები ხშირად საუბრობენ ოჯახის სხვა წევრებზეც. მაგალითად ლალი საუბრობს საკუთარ დაზე, რომელიც მას შეჰპირდა ხანდაზმულთა სახლიდან წაყვანას, მაგრამ არ შეასრულა პირობა. რამდენიმე მათგანს ჰქონდა კონფლიქტური სიტუაცია რძალთან. კვლევის ზოგიერთი წევრი ურთიერთობდა ძმისშვილთან ან დისშვილთან: „ჩემი დისშვილი მოდის ხოლმე, [...] ტელეფონის ნომერიცა აქვს და მკითხულობს სულ, როცა ვერ მოდის, რეკავს ხოლმე“. (მზია)

რაც შეეხება დანარჩენ ნათესავებს, რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ ნათესავები ან არ ჰყავთ ან მათთან ურთიერთობა არ აქვთ. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ნათესავებს ეწყინათ მათი ხანდაზმულთა სახლში მოხვედრა: „არავინ იცის, რომ აქ ვარ. თბილისელი ქალი მყავდა მე, ცოლის ნათესავები მყავს თბილისში, ჩემი დეიდაშვილები და მისი შვილები, ბიძაშვილებიც. არავინ არ იცის, არავისთვის არ დამირეკავს, არ მინდა ვინმე შევაწუხო. თბილისი შორია და ამ გაჭირვების დროს არ მინდა, რომ შეწუხდნენ... ერთი დეიდაშვილი დამრჩა, ჩემზე ასაკოვანია. შვილები ყავს. ყველასთან კარგად ვარ, მაგრამ რაც აქ ვარ, არავის ვაგებინებ.“ (ზურაბი, 70 წლის)

რესპონდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მონახულება ხანდაზმულთა სახლში. რამდენიმე მათგანი ამბობს, რომ მათ აკითხავენ მათი ოჯახის წევრები, ხოლო დიდი ნაწილი საუბრობს შვილების ან შვილიშვილების მხრიდან უყურადღებობაზე: „ძმისშვილი მყავდა, სულ მე ვაძლევდი ფულს, გზის ფულს და რამე. ერთი არ მოდის ჩემთან. აქ ცხოვრობს ახლოს. კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ მნახე, მოდი. შეიძლება მოვკვდე. არა. სიკეთე არ გადის. თურმე ეგრე ყოფილა, თუ შენ გაქვს, ყველა ეგრე ყოფილა.“ (ალექსანდრე) ახლობლების მხრიდან მონახულების საჭიროებაზე საუბრობს მაკაც: „აქ არის ძალიან ბევრი ბენეფიციარი, რომელსაც ჰყავს შვილები, შვილიშვილები. [...] მე არავინ მყავს, ისინი არ იცით, რა დღეში არიან, ენატრებათ თავისიანები, აქ ხომ გვირიგებენ ხოლმე ტანსაცმელებს, არ იფიქროთ, რომ რომელიმე თავისთვის იცვამს იმას ან ხმარობს. ინახავენ პენსიას, არც იმას არ ხარჯავენ. ფიქრობენ, იქნება მოვიდნენ ჩემები და მივცე. ნუთუ უფალი არ წამთ ამ ხალხს, მოვიდნენ და ერთხელ ნახონ დედები თუ ბებიები, მოდიან, კი, მოდიან, ოღონდ ისეთ დროს როცა პენსია არის და მიაქვთ. ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც მოაკითხონ და დახედონ თავიანთ ოჯახის წევრებს.“ მაკას დაკვირვება საკუთარ მეზობლებზე აჩვენებს, რომ ეს პრობლემა, მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა ხანდაზმულთა სახლის მაცხოვრებლებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის წევრები იშვიათად ნახულობენ მომსახურებაში მაცხოვრებლებს, ისინი თავად ცდილობენ მათ მონახულებას. მაგალითად, ქეთევანი ამბობს, რომ ძალიან უნდა წასვლა და ოჯახის წევრების ნახვა, ამის საშუალებას აძლევენ, უბრალოდ, ვერ მოახერხა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა რესპონდენტი ასე გრძნობს თავს. რამდენიმეს ნახულობენ შვილები და შვილიშვილები. ერთ-ერთი რესპონდენტი იმასაც კი ამბობს, რომ მასთან მოსანახულებლად მიდიან მისი მოსწავლეებიცა და ნათესავებიც.

3. ხანდაზმულთა სახლში მოხვედრის მიზეზები

თითქმის ყველა რესპონდენტი საუბრობს იმაზე, თუ რა მიზეზით წამოვიდა ხანდაზმულთა სახლში. მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ეს მათივე ნებით მოხდა. თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებას სხვადასხვა მოტივაცია ედო საფუძვლად. მნიშვნელოვანია ის, რომ აქ განხილული იქნება ის მიზეზები, რომლებზეც თავად რესპონდენტები საუბრობენ – მათი ხანდაზმულთა სახლში მოხვედრის სუბიექტური ფაქტორები. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი რესპონდენტი ამ მომსახურებაში მოხვედრის ერთზე მეტ მიზეზს ასახელებს.

საერთო ჯამში, ხანდაზმულთა სახლში მოხვედრის რამდენიმე ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა:

- საკუთარი საცხოვრებლის არქონა;
- მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა (სიღარიბე);
- ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა;
- ოჯახის წევრის გარდაცვალება;
- შევიწროება (abuse) ოჯახის წევრების მხრიდან;
- ოჯახისგან გაუცხოება (რესპონდენტების განცდა, რომ ისინი ზედმეტები არიან ოჯახის წევრის/ნათესავის ოჯახში).

3.1. საკუთარი საცხოვრებლის არქონა

როგორც ზემოთ განხილულ მონაცემებში იკვეთება, საკუთრების პრობლემა გამოკითხულთა დიდ ნაწილს აწუხებს. შესაბამისად, ხანდაზმულთა სახლში მოხვედრის მიზეზადაც ხშირად სახელდება ბინის/სახლის არქონა, რომელიც, როგორც წესი, შედეგია ბინის/სახლი დაკარგვის ან გაყიდვისა. თავის მხრივ, საკუთრების დაკარგვას ან გაყიდვას სხვადასხვა მიზეზი აქვს, რომელთა შორის იკვეთება ქონების უკანონოდ მისაკუთრება ოჯახის წევრების მიერ ან მათთვის საკუთრების ნებაყოფლობით გადაცემა. რაც შეეხება ბინის/სახლის გაყიდვას, ეს, როგორ წესი, ხდება *ad hoc* საჭიროებების (მაგალითად, მკურნალობის აუცილებლობის), ბანკის იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნთ და სხვ.

საკუთარი საცხოვრებლის არქონის გამო ხანდაზმულთა სახლში გადმოსვლის საჭიროებაზე საუბრობენ ქვრივებიც და დაუოჯახებლებიც, კაცებიც და ქალებიც. მაგალითად, ეკა ამბობს, რომ მისთვის ხანდაზმულთა სახლში ოთახი ბინის ქონის ტოლფასია. დაჩიც მიზეზად უბინაობას ასახელებს: *„დავრჩი მარტო. ცოლს გავეყარე, დავრჩი ქუჩაში. [...] დავრჩი ქუჩაში უბინაოდ. ქირით ვცხოვრობდი, მეტი, რა ვიცი... ძალიან მიჭირდა [...]“*

საკუთარი ბინის/სახლის არქონა ხშირად იწვევდა იმას, რომ რესპონდენტებს არსად ჰქონდათ წასასვლელი და საცხოვრებელ ადგილებს ხშირად იცვლიდნენ. მედეა აღნიშნავს, რომ მეუღლის ავადმყოფობის შემდეგ ხან დისშვილთან და ხან დასთან ცხოვრობდა. ალექსანდრეც რამდენიმე საცხოვრებლის გამოცვლაზე საუბრობს:

> „ამ დღეში ჩამაგდეს, თორემ მე აქ რა მინდოდა. ჩემს დასთან ვიყავი, იქ ვცხოვრობდი, მერე ძმასთან ვიყავი [...] მერე ჩემმა დისშვილმა მითხრა, ერთ ოთახს აგიშენებ ჩემს ეზოშიო. ორი თვე დისშვილმა შემიფარა, ხოდა იქიდან ამათ შეაწუხეს, დღეღამე, სულ ურეკავდნენ, ჩვენ სირცხვილით გარეთ ვერ გამოვდივართო, წამოვიდეს ჩვენთანო. იმ ბიჭმა მითხრა მერე, დისშვილმა, ხომ ხედავ რა დღეში ვარ, ისევ შენი შვილები არიან, წადიო. მოვედი, შვილო, აქ, უფროს ბიჭთან ვიყავი, იმან მომიყვანა,

შვილიშვილი მყავს, [...] კაი ბიჭია.[...] ვიყავი მათთან, ორი კვირის შემდეგ სახლიდან გამომაგდეს ღამე. ბიჭმა მითხრა, აბა მე ქირით ვარო და არ გამოდის შენი ყოფნაო. კარგი-მეთქი, შვილო, ღამის პირველ საათზე გამოვედი გარეთ. მეტრო ისანთან ვცხოვრობდი, ცოლის ბიძაშვილის ბინაში, აქ არავინ ცხოვრობდა. ორი ღამე მოსკოვის პროსპექტზე დავიძინე კორპუსების პადიეზდებში [...] მერე მერიიდან უფროსმა მითხრა, დაგიწერ, ზუსტად იმ ადგილზე მიდიო. დამიწერა,[...] წავედი, იქაც არის ხანდაზმულთა თავშესაფარი. მივედი იქ, მიმიღეს, მითხრეს, რომ შენი პენსია თუ გაქვსო. კი-მეთქი, რაშია საქმე. იქიდან ჩემი და მეხმარებოდა, ფულით. ეგრე ვიყავი იქ, [...] მერე ახლოს ბინა დავიქირავე. თვეში 80 ლარს ვიხდიდი, 6 თვე იქ ვიცხოვრე, [...]".

ალექსანდრეს მონათხრობი აჩვენებს იმას, თუ რამდენი საფეხურის გავლა მოუხდა რესპონდენტს იმისთვის, რომ თავშესაფარი ჰქონოდა. მან რამდენჯერმე შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და ვერსად დაფუძნდა. ამგვარ მდგომარეობას იგი ინტერვიუში ასე აფასებს: *„გაუნათლებელი კაცი ვარ. წალიწად-ნახევარი დავდიოდი საბუთებით ხელში, არსად არაფერი გამოვიდა. სოციალური დახმარება მქონდა. სანამ ამ ბინას გაყიდიდნენ, მიტანილი მქონდა განცხადება, ფულსაც ვღებულობდი, მაგრამ[...] მერე აღარ ვიცოდი, პენსიაში ვიყავი უკვე. არ ვიცოდი, სად მივდიოდი, რას ვაკეთებდი. ეგეთ მდგომარეობაში ვიყავი, გათიშული ვიყავი. 1-2 კვირა ჩემს დასთან ვიყავი, დისშვილებთან, ძმასთან."*

თუმცა, ზოგიერთ რესპონდენტს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა არ უწევდა. ერთ-ერთი რესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ მას უხაროდა კიდეც ხანდაზმულთა სახლში წამოსვლა, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ექნებოდა საცხოვრებელი ადგილი: *„აქ რომ მოვდიოდი, მიხაროდა, კი არ მწყინდა. ოჯახიდან რომ მოდის ადამიანი, ტირის, ცრემლად იღვრება. მაგრამ მიხაროდა. იმას ვერ წარმოვიდგენდი, რომ ცალკე ოთახი მექნებოდა. ამ ასაკში რთულია სხვასთან ცხოვრება ოთახში. სხვადასხვა ხასიათებია. ამიტომ, რომ მოვედი და ვნახე, რომ მარტო ვიქნებოდი ოთახში, თითქოს ბინა მივიღე. მერე გადასახადისგან გამათავისუფლეს, როგორც დევნილი. ძალიან კარგი განწყობით მოვედი აქ, რადგან უბინაო ვიყავი და ბინა მივიღე. შიგნითაა ყველაფერი, წყალიც, ტუალეტიც" (ლამარა).*

3.2. შევიწროება (abuse) ოჯახის წევრების მხრიდან

ზოგიერთი რესპონდენტი იმაზეც საუბრობს, რომ ოჯახის წევრთან კონფლიქტის გამო მოუნდა საცხოვრებლად ცალკე გადასვლა. კონფლიქტი და დაძაბულობა უკავშირდება ოჯახის წევრების მხრიდან ზეწოლას, რომელიც, ძირითადად, გამოიხატება **ემოციურ, ან ფსიქოლოგიურ შევიწროებაში.** ეს უკანასკნელი მოიცავს დამცირებას და აბუჩად აგდებას, სიტყვიერ შეურაცხყოფას და ჩხუბს, იგნორირებას, იზოლაციას სხვებისგან და ა.შ.

მართალია, ოჯახის წევრების მხრიდან ფიზიკური შევიწროვება იშვიათად სახელდება, თუმცა, ზოგიერთ რესპონდენტს ჰყოფნის გულწრფელობა და გამბედაობა, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის (კერძოდ, ცემის ან არაადამიანური გარემოს შექმნის) ფაქტებზე მიუთითოს:

„ბნელში ვეგდე, ღამე 5 წუთი წავიძინებდი სიცივეში, არც შეშას მაძლევდა, არაფერს... ჩემმა შვილმა უკვე იქედან დაიწყო ჩემზე ძალადობა, ვიდრე შვილები დაეზრდებოდა. მერე და მერე უფრო გადაირია. როცა მცემდა ქმარი, მხედავდა შვილი და [...] მხარს უმაგრებდა... ერთმანეთს ჰგავდნენ" (მზია).

კვლევამ გამოავლინა **ეკონომიკური ძალადობის** შემთხვევებიც, რომლებიც უფრო გავრცელებულია ქალების პრაქტიკაში. კერძოდ, ხანდაზმულები საუბრობენ ფაქტებზე, როდესაც ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, საკუთარი პენსია მიეცათ შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის. იყო შემთხვევები, როდესაც ხანდაზმულები, ოჯახის წევრების მოთხოვნით, წინასწარ იღებდნენ რამდენიმე თვის პენსიას და აძლევდნენ მათ. ეს ხდებოდა ხანდაზმულების ნებისა და ინტერესების საზიანოდ. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგან ეს ძალადობს სხვა, უფრო მძიმე ფორმებს გამოიწვევდა.

„მატერიალურად რომ გვიჭირდა და ფული შემოელეოდა [შვილიშვილს], ვერაფერს ვერ ყიდულობდა. მე მაგზავნიდა ყველგან. მე ვუთხარი, არ შეიძლება ასე, ან იმუშავე ან რამე. მერე მე ვიხდიდი პენსიიდან. თვითონ კი არ იხდიდა. აქედან იწყებოდა ყველაფერი, ჩხუბიც და ყველაფერი“ (ქეთევანი).

არსებობს რამდენიმე ისეთი შემთხვევაც, როდესაც ოჯახის წევრების დავალებით იძულებული გახდა ხანდაზმული, რომ აეღო ბანკიდან სესხი, რის პროცენტსაც ხანდაზმულთა სახლში ყოფნისასაც იხდის.

ბუნებრივია, ფსიქოლოგიური, ფიზიკური და ეკონომიკური შევიწროება ხანდაზმულებში იწვევს სტრესს და გაუცხოებას.

3.3. ოჯახისგან გაუცხოება

რესპონდენტების ძირითადი ნაწილი (ისეთი, რომელსაც ოჯახის წევრები ჰყავს) მაინც იმაზე საუბრობს, რომ თავს ზედმეტად გრძნობს საკუთარი ოჯახის წევრის სახლში. ეს განცდა ბევრი მონაწილის მონათხრობში იკვეთება. სოფო ამბობს, რომ ოჯახისთვის ის ზედმეტი იყო, რადგან აღარ მუშაობდა, მისი ოჯახის წევრებს დაბალი ხელფასი ჰქონდათ და ამდენი ადამიანისთვის არ იყო საკმარისი. ასეთივე დამოკიდებულებას ამჟღავნებს ნინო: *„ასე [გაჭირვებაში] ვცხოვრობდით და იძულებული ვიყავი, რომ აქეთ წამოვსულიყავი. ჩემი შვილისგან თან რომ პრობლემები მქონდა... მე ვთქვი, თუ ხელს ვუშლი ვინმეს, სულ წავალ აქედან-მეთქი.“*

ზურაბი ყვება, რომ ამავე მიზეზით წამოვიდა, თუმცა, უჭირს ოჯახის გარეშე ყოფნა:

„ვარჩიე წამოსვლა, რომ ერთად აღარ ვყოფილიყავით, ასე ჯობდა. მე კიდევ მყავდა დედით 4 ძმა, ისინი ხნიერები იყვნენ, ახლა ძალიან მიჭირს, მაგრამ... [ტირის]. მიჭირს ბავშვებთან განშორება. გორში ცხოვრობენ. წამოსვლა ვამჯობინე ჩემი ავადმყოფობის გამო, ხან ბავშვები წუხდებოდნენ, მე რომ ავად ვხვდებოდი. ბავშვები ძალიან მიყვარს. პრობლემა არავისთან მქონია, უბრალოდ, არ მინდოდა ოჯახი მეწვალებინა. აქედან დაჟე ერთხელ წავედი. 10 დღე ამ წელში შემიძლია წავიდე.“

რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ სახლში მათთვის ადგილი არ იყო, რადგან მათი შვილების ოჯახი ისედაც საკმარისად დიდი იყო რიცხვობრივად. თითქოს, ზედმეტად გრძნობდნენ თავს. მაგალითად, ხათუნა ამბობს, რომ მისი შვილის ბინაში ოჯახის ხუთი წევრი ცხოვრობს და მისთვის ადგილი აღარაა: *„მე სადღა დავეტიო. განა არ ვუნდივარ, მაგრამ არა აქვთ, ფართობი არ ყოფნით.“*

3.4. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა

რესპონდენტების ნაწილი, საკუთრების გარდა, საუბრობენ მათ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და იმაზე, რომ პენსიის სიმცირემ და ოჯახის ფინანსებმა განაპირობა მათი მოხვედრა ხანდაზმულთა სახლში: *„ხშირად მეკითხებიან, რატომ წამოვედი. პენსია მქონდა 120 ლარი. ორივე შვილიშვილი სტუდენტი იყო, ფულს მართმევდნენ სულ. მე პენსია რაც მქონდა, რძალს ვაძლევდი, დიდი გასავალი იყო“ (მამუკა).*

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ყველაზე მწვავედ აისახებოდა შიმშილში, რომლის წინაშეც არაერთხელ მდგარან ხანდაზმულები. საკვების უკმარისობა უკავშირდება ცხელი კერძის დეფიციტს და საკვების არამრავალფეროვნებას. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც ხანდზმულებს მოჰნატრებიათ ზოგიერთი ისეთი რამ, რაც ჯანსაღი კვების რაციონის ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია (თევზის ან ხორცის ნაირსახეობა, ტკბილეული და სხვ.)

3.5. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა

ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა რესპონდენტის **ჯანმრთელობის მდგომარეობა,** რომლის გამოც მათ ესაჭიროებოდათ მუდმივი ყურადღება. მარიამი ამბობს:

> „ისეთი წარსული არ მქონია, რომ აქ მოვხვედრილიყავი, მაგრამ ამ ფეხმა დამღუპა. [...] [რომ არ მოეკვეთათ ფეხი] არა მგონია [წამოვსულიყავი]. ჩემი შვილი [...] არ ფიქრობდა, რომ მე პატრონი მჭირდებოდა. მე როგორ მოგიარო, ხომ არ დაგბან და მოგივლიო. ვერც კი მოიფიქრებდა, რომ წამოვიდოდი. აზრადაც არ ჰქონდა. რა ვქნა შვილო, რა ვქნა. პენსიას მხოლოდ ასაკისას ვიღებდი.“ იმავეს ყვება ზურაბი, რომელიც ამბობს, რომ მაღალი წნევების გამო ეშინია მარტო დარჩენა და მუდმივად ესაჭიროება ყურადღება: „აქ მაინც ცოტა გვაქცევენ ყურადღებას, სახლში მარტო ვრჩებოდი.“

ხშირად ისინი მიიჩნევდნენ, რომ მათ ვერ უვლიდნენ საკუთარი ოჯახის წევრები ან თავად ვერ უვლიდნენ საკუთარ თავს და ესაჭიროებოდათ სხვისი დახმარება. ეკა ამბობს, რომ მისი ოჯახის წევრებს ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ და არ შეუძლიათ მისი მოვლა: *„ჩემმა რძალმა მითხრა, შენ მოგიარო, შენს შვილსო თუ შვილიშვილსო და წამოვედი.“* ანა კი ყვება, რომ მას შემდეგ, რაც მისმა შვილებმა მიითვისეს მისი საკუთრება, მას დაუთმეს ერთი პატარა ოთახი, *„რომელშიც სინათლეც კი არ იყო [...] არც მაქცევდნენ ყურადღებას. მერე იძულებული გავხდი წამოვედი აქ. ბოდიში და, ღორი არ ეყოლება კარგ პატრონს, მე რომ ვიყავი იმ დღეში.“* ლალი კი ამბობს, რომ მისმა დამ, რომელთანაც აქამდე ცხოვრობდა, მომვლელი ვერ იშოვა, *„წამომიყვანა, კარგად რომ გახდები, მერე წაგიყვანო და აღარ მივყავარ [...] მოდის ხოლმე, მაგრამ აღარ მივყავარ [...] ქმარი ჰყავს უხასიათო.“*

3.6. ოჯახის წევრის გარდაცვალება

ზოგიერთი რესპონდენტი საუბრობს იმაზე, რომ ყველაფერი მათი ოჯახის წევრების გარდაცვალების (შვილი, მეუღლე, მშობლები, დედმამიშვილები) შემდეგ შეიცვალა. რამდენიმე მათგანი პირდაპირ ამბობს, რომ ამ მოვლენამ განაპირობა მათი ხანდაზმულთა სახლში გადმოსვლა: *„აქ მოსვლის ამბავი ისაა, რომ შვილი*

დამეღუპა. 2004 წელში. დედამისმა ვერ გადაიტანა, ჩავარდა ლოგინად და გადაყვა მას [...] აქ მოვედი ამ გასაჭირისგან თავის დასახსნელად“ (ნიკოლოზი, 79 წლის, ქვრივი).

ოჯახის წევრის გარდაცვალება იწვევს ხანდაზმულის მარტო დარჩენას და „პატრონის“ დაკარგვას. ასაკოვანს კი არ შეუძლია დამოუკიდებლად გაუმკლავდეს მის წინაშე არსებულ ეკონომიკურ, სამედიცინო თუ ფსიქოლოგიურ პრობლემებს და ზრუნვას ხანდაზმულთა თავშესაფარში ეძებს.

* * *

ეს ის ძირითადი მიზეზებია, რომელთაც თავად რესპონდენტები ასახელებენ. როგორც უკვე აღინიშნა, ისინი ამბობენ, რომ იქ მოხვედრა მათი ნება და გადაწყვეტილება იყო. მაგალითად, მარიამი ამბობს, რომ ტაქსით წავიდა პირდაპირ ხანდაზმულთა სახლში, ჯანმრთელობის გამო. ზოგიერთი იმასაც აღნიშნავს, რომ მეზობლებმა შეუგროვეს საბუთები და აღწერეს მისი მდგომარეობა. საინტერესო იყო, ნაზის შემთხვევა, როდესაც მისი შესვლა ხანდაზმულთა სახლში არ იყო საკუთარი გადაწყვეტილება:

> *„მე ავადმყოფობის პენსია მქონდა 80 ლარი, [...] დავწერე განცხადება, რომ უბინაოდ ვარ და დახმარება ვითხოვე და დამეხმარნენ ამით. მე რა ვიცოდი, აქ რომ მოვდიოდი, მე მეგონა, ბინას მომცემდნენ.“* როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, ბინის მიღება უნდოდა სახელმწიფოსგან. დაახლოებით მსგავსი ისტორია აქვს ხათუნას, რომელმაც საკუთარ შვილს სთხოვა ოთახის დაქირავება, რადგან არ უნდოდა მასთან ცხოვრება. შედეგად, აღმოჩნდა მომსახურებაში. ასეთი შემთხვევები ბევრი არ არის, ძირითადად, ეს იყო რესპონდენტების გაცნობიერებული გადაწყვეტილება.

ხანდაზმულთა სახლში წასვლისას საინტერესო იყო შემდეგი ტენდენცია: როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება რესპონდენტებისთვის დაკავშირებულია სირცხვილის განცდასთან, რადგან აქ ცხოვრება **სტიგმას** წარმოადგენს. ეს ტენდენცია ვლინდება იმაში, რომ რესპონდენტები ყველასთვის თქმის გარეშე წყვეტენ ამას: „ტაქსი დავიჭირე და წამოვედი, არავისთვის მითქვამს“ (მარიამი). ასეთ გადაწყვეტილებაზე რამდენიმე რესპონდენტი *საუბრობს:*

„მე არავის გამოვუგდივარ, მაინცდამაინც, ბებრების სახლში რომ ვიყო. [...] ამათ არ იცოდნენ აქ თუ უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ რომ გაიგეს, აღტაცება არ გამოუხატავთ“ (სოფო). გარდა ამისა, სტიგმის ილუსტრაციაა ისიც, რომ რესპონდენტების თქმით, მათი ოჯახის წევრები (მეუღლეები, შვილები, ნათესავები) ამ გადაწყვეტილებას საკმაოდ უარყოფითად აფასებდნენ: *„[ჩემმა მეუღლემ] წერილი დაუტოვა ჩემს მეგობრებს, რომ იქნებ გაუწიოთ აგიტაცია, არ წავიდესო [ხანდაზმულთა სახლში]. არ უნდოდა, რომ წამოვსულიყავი“ (ლამარა).*

4. სოციალური მუშაკის შეფასება

აღსანიშნავია ის, რომ რესპონდენტები იშვიათად და ცოტას საუბრობენ სოციალურ მუშაკსა და სოციალურ სამსახურებზე. ისინი, ძირითადად, ფაქტებზე ამახვილებენ ყურადღებას, თუ როდის მოვიდა სოციალური მუშაკი, რა მოინიშნა და ა.შ. რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ მას დღემდე აკითხავს სოციალური მუშაკი, ხოლო ზოგიერთს, შეფასების შემდეგ, მასთან შეხება არ ჰქონია.

საინტერესოა, იმ რესპონდენტების გამოცდილება სოციალურ მუშაკთან ურთიერთობისა, რომლებსაც ოჯახში არასათანადოდ ეპყრობოდნენ ან ძალადობდნენ. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ სოციალური მუშაკი დაინტერესდა მათი მდგომარეობით: *„კითხა [შვილიშვილს] რატომ ჩაგრავთ ამისთანა ქალსო. [...] იმან დაწერა, არაადეკვატური ცხოვრება აქვსო, ცოდოა ასეთ ოჯახში იყოს ეს ქალბატონიო“ (ქეთევანი).* მარიამი კი ამბობს, რომ მისი თხოვნა, მალე მოეგვარებინათ მისი ხანდაზმულთა სახლში გადასვლის საკითხი, ოჯახში არასათანადო პირობების გამო, მუშაკმა გაითვალისწინა და დაეხმარა.

სხვა შემთხვევებში, რესპონდენტები ამბობენ, რომ ვერ გაბედეს სოციალური მუშაკისთვის მათი რეალური მდგომარეობის თქმა, რადგან ეშინოდათ ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის. მცირეა ისეთი რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც უკმაყოფილოები არიან სოციალური მუშაკის დახმარებით. ისინი, ძირითადად, ამბობენ, რომ მან არაფერი გამოიკვლია ან მაღალი ქულები (სოციალურად დაუცველთა ბაზისთვის) დაუწერა.

5. ხანდაზმულთა სახლის შეფასება

კვლევის მონაწილეები საუბრობდნენ ხანდაზმულთა სახლის მიმართ მათ დამოკიდებულებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ინტერვიუებში გაცილებით ნაკლებს საუბრობდნენ, ვიდრე საკუთარ ოჯახსა და შვილებზე. ერთ-ერთი საინტერესო ტენდენცია, რაც ინტერვიუებში გამოიკვეთა, ისაა, რომ რესპონდენტები მომსახურების შესახებ საუბარს მეტნაკლებად დადებით ემოციურ და შეფასებით ფონზე იწყებენ, ხაზს უსვამენ მის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ინტერვიუს განმავლობაში ეს მიმართება მნიშვნელოვნად იცვლება.

რესპონდენტები ამბობენ, რომ მათ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედა ხანდაზმულთა სახლში გადმოსვლამ. მაგალითად, სოფო საუბრობს, რომ შვილებთან ცხოვრების პერიოდში სულ დაძაბული იყო და აქ გადასვლის შემდეგ, თითქოს, მეორედ დაიბადა. ეთერი (80 წლის, ქვრივი), ასევე, საუბრობს იმაზე, რომ კარგად შეხვდნენ გადმოსვლისას და სწრაფად მოუწყვეს ოთახი. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ხანდაზმულთა სახლში ყოფნა სჯობს მისთვის. თუმცა არიან ისეთი რესპონდენტებიც, რომელთაც დასაწყისში გაუჭირდათ მომსახურების შეგუება და მოგვიანებით მიეჩვივნენ:

> „ძალიან [გამიჭირდა]. საგიჟეთივით მეგონა, ცოტაზე კი გავს, მაგრამ უფრო უარესი მეგონა. დამიწყეს ჯღანვა, კარგი ჩაცმული რომ მოვედი. [...] ერთი თვის შემდეგ სხვა მოვიდა, ის გადასარევი ქალი იყო. [...] როგორც შვილი, ისე მექცეოდა. [...] სულ იმას ვამბობდი, უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე და ეხლაც უპატრონო ბავშვთა სახლში ვართ-თქო. [...] შემთხვევით მოვხვდი აქ, მეგონა, ბინაში მივყავდი [შვილს] და მოვხვდი აქ. ძალიან ვნერვიულობდი პირველად და მერე მივეჩვიე“ (ნაზი).

თავად ხანდაზმულთა სახლის მომსახურებით რესპონდენტები, ძირითადად, კმაყოფილები არიან და აღნიშნავენ, რომ კარგად გრძნობენ თავს. ანა აღნიშნავს: *„აქ ძალიან კარგად ვარ, არ ვიცი, სად ვიყავი აქამდე.“* რესპონდენტების კმაყოფილება, ძირითადად, ეხება მომუშავე პერსონალს, სამედიცინო მომსახურებას და ინფრასტრუქტურას. რესპონდენტები ხშირად აქებენ დაწესებულების დირექტორს: *„[დაწესებულების დირექტორი] არაჩვეულებრივი ადამიანია, გამგები, ყველას ეფერება“ (ქეთევანი).* მზია აღნიშნავს, რომ თავიდანვე კარგად შეხვდა მომსახურე პერსონალი და ყურადღებიანები არიან. ამ უკანასკნელზე სხვა რესპონდენტებიც საუბრობენ.

კვლევის ზოგიერთი მონაწილე აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მას კარგად უვლიან ხანდაზმულთა სახლში: *„აქ როგორც გვივლიან, მე ვინ მომივლიდა ასე? შვილიანი ადამიანები ვინც არიან, შვილებმა გამოუშვეს, იქ ვერ მოუვლიან ასე, როგორც აქ. [...] გადავიტანე 4 ოპერაცია [...] აქ მშვიდად ვარ, რომ მომვლელი მყავს.“* რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ იქ უკეთ უვლიან, ვიდრე სახლში მოუვლიდნენ. ზოგიერთი იმასაც კი აღნიშნავს, რომ სწორედ მომვლელის საჭიროების გამო, მისთვის მნიშვნელოვანი ადგილია ხანდაზმულთა სახლი. თუმცა, მეორე მხრივ, ზოგიერთი რესპონდენტი არასაკმარის მოვლაზეც საუბრობს. მაგალითად, მამუკა ამბობს: *„კაცს უფრო გაუჭირდება [აქ]. [...] ტანისამოსის რეცხვა, რამე. აქ გვიკეთებენ ყველაფერს, მაგრამ კაცი მაინც კაცია. ქალმა თავისებურად ყველაფერი იცის, როდის რა გააკეთოს. [...] შენ რაც გინდა, იმას გააკეთებ სახლში. აქ როცა გინდა, ვერ შეჭამ, რაც გინდა, ვერ შეჭამ.“*

ზოგიერთი რესპონდენტი საუბრობს ხანდაზმულთა სახლში არსებულ პირობებზე. ერთ-ერთი მათგანი ამბობს, რომ სახელოსნოც მისცეს, გამოფენის მოწყობასაც აპირებს და აქტიურად ჩართულია მომსახურების სოციალურ ცხოვრებაში. მართა (75 წლის, ქვრივი) *ამბობს: „რომ შემომიყვანა[დირექტორმა], მაჩვენა პირობები, მომეწონა ამ სასადილოში რომ ვზივარ, მგონია, საკუთარ სახლში ვარ, ბევრი ნივთი სახლიდან წამოვიღე. ხოდა ასე მოვხვდი აქ მე და ყველას ვეუბნევი, რომ მოვიდეს კიდევ აქ ხალხი. უბრალოდ, იცით რაა? ძალიან კარგია, მაგრამ გინდა მაინც შენი კუთხე რომ გქონდეს სიბერის დროს, ძალიან ძნელია. ისე პირობები კარგია ძალიან, სისუფთავეა, ყველგან, ესე კი არ არის , აქ კარგი უფროსია, კარგი მზარეული, კარგი მეზობლები.“*

პირობების გარდა, რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია ხანდაზმულთა სახლის ადგილმდებარეობა, ძირითადად, ქალაქი, რომელშიც ასეთი საცხოვრებელი მდებარეობს. მაგალითად, ლელა ამბობს, რომ ძალიან უნდა თბილისში, რადგან იქ უფრო არიან მისი ნაცნობები: *„ძალიან მინდა თბილისში. იქ უფრო არიან ჩემი ნაცნობები. აქ ვინმე რომ არ მომდის პატრონი, გულზე ძალიან მოქმედებს, ვტირივარ სულ... მეუბნებოდნენ, ასეთი ძლიერი ხარო, ამ ტანჯვაშიცო, ახლაც ასე ვარ. რატომ არ დაინახეს შენი სიკეთეო... მინდა, რომ ახლო ვინმე მყავდეს.“* ზოგადად, როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის მონაწილეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ნათესავების, ოჯახის წევრებისა და ახლობლების მხრიდან მათი მონახულება, ამიტომ ხანდაზმულთა სახლის მდებარეობა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

გარდა მომსახურე პერსონალის, გარემო პირობებისა და ადგილმდებარეობისა, რესპონდენტები ხშირად განსაკუთრებულად დადებითად არიან განწყობილნი სამედიცინო მომსახურების ხარისხის მიმართ მომსახურებაში. რამდენიმე მათგანის ინტერვიუს მიხედვით, როდესაც შეექმნათ ჯანმრთელობის პრობლემები, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება მიიღეს: *„აქ გაუმჯობესდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა, სულ მნახულობს ექიმი. რაც მე აქ ვარ, 7-8 თვეა, მე ჯანმრთელობის პრობლემა არ შემქმნია. წნევა რომ წნევაა, ისიც არ მქონია“ (მზია).*

კვლევის მონაწილეთა ნაწილი აქცენტს აკეთებს მათ მეზობლებზე ხანდაზმულთა სახლში და ამბობს, რომ იქ, ძირითადად, კარგი ხალხი ცხოვრობს. ქეთევანი ამბობს, რომ

კომფორტულადაა, რადგან ადამიანებისგან სითბოს გრძნობს. თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტი სწორედ ამითაა უკმაყოფილო – იმ ადამიანებით, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ მომსახურებაში: „ეს ბოლო პერიოდი გულნატკენები ვართ ყველანი: ეს არის მოხუცთა პანსიონატი, აქ უნდა იყოს სიმშვიდე, სიწყნარე, ესენი კიდევ აგზავნიან გიჟებს. ჩვენი დირექტორი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, რომ აგზავნიან სოციალური უზრუნველყოფიდან.“ (მაკა) მეორე მხრივ, ზურაბი საუბრობს არა მხოლოდ იმაზე, რომ მასავით აქტიური მოსახლეები არ არიან ხანდაზმულთა სახლში, არამედ იმაზეც, რომ ტელევიზორიც არ არის, რაც მას ძალიან აკლია.

იმ ხანდაზმულებისთვის, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ხანდაზმულთა თავშესაფარში ყოფნა, რამდენადაც მათ ჰყავთ სპეციალური მომვლელები, რომელთა ყოლის საშუალებაც სახლის პირობებში შეუძლებელი იყო.

საბოლოოდ, ხანდაზმულთა სახლით ზოგადი კმაყოფილება სახეზეა; თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ რესპონდენტები განიცდიან თავისთავად იმ ფაქტს, რომ ამგვარ საცხოვრებელში არიან. ამის კარგი ილუსტრაციაა დაჩის ინტერვიუ, რომელიც დადებით დამოკიდებულებას საცხოვრებლის მიმართ აფიქსირებს, თუმცა ამბობს, რომ პატარა ოთახიც რომ ჰქონდეს სადმე, აქ არ გაჩერდებოდა.

6. ხანდაზმულთა სახლში ცხოვრების მიმართ დამოკიდებულება

რესპონდენტების მხრიდან ხანდაზმულთა სახლის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, ძირითადად, განსაზღვრავს არა ინფრასტრუქტურული პრობლემები ან მოსახლეების თავისებურებები, არამედ ის ფაქტი, რომ ეს მომსახურებაა და, როგორც ზემოთ აღინიშნა, იქ ცხოვრება სტიგმასთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, ეს კვლევის მონაწილეებს მნიშვნელოვან დისკომფორტს უქმნის. ნიკოლოზის ნაამბობი ამის კარგი ილუსტრაციაა:

> „მაშინ, როცა აქ დამყავდა ხალხი ტაქსისტობის დროს, მეუბნებოდნენ, უპატრონოთა სახლს ეძახდნენ. მაშინ თითქმის ცრემლი მომდიოდა და ფულს არ ვიღებდი მათგან, მაგრამ რას მოვიფიქრებდი, რომ მეც აქ მოვხვდებოდი. აქ რომ მოვედი და გადავხედე აქაურობას, [...] ძალიან განვიცადე. თითქმის ხომ გაჭირვებული ვიყავი, [...] მაგრამ ასეთი სიტუაცია რომ ვნახე, ჭამაც კი აღარ მინდოდა და დავაპირე წასვლა, მაგრამ ნელ-ნელა შევეჩვიე.“

ასე გულდაწყვეტით საკუთარ სიტუაციაზე ბევრი რესპონდენტი საუბრობს. კატო, 82 წლის, ამბობს, რომ მისთვის სასჯელია ხანდაზმულთა სახლში ყოფნა: *„წარსულს რომ გადავხედავ, სულ ვტირივარ, რატომ მოვხვდი აქ. ჩემი მეზობლები გაგიჟებას იყვნენ, აქ რამ წამოგიყვანაო, ეს მთავრობის სახლიაო. მე ვუთხარი, რა მოხდა მერე, ისედაც მთავრობის ხელში ვართ-მეთქი. არავის წინაშე ცუდი არ დამიმსახურებია, არც თანამშრომლებთან, არც ნათესავებთან, არც მეზობლებთან, სადაც არ უნდა იკითხო, მე არავისთვის არაფერი დამიშავებია, მაგრამ ასე დავისაჯე, ალბათ ასე იყო საჭირო. აქ კარგი პირობებია, მაგრამ შენი ოჯახი სულ სხვაა.“* კატოს სიტყვები არ არის მხოლოდ ინდივიდუალური დამოკიდებულება. მსგავსი თვალსაზრისი ბევრი სხვა მონაწილის ინტერვიუდან იკვეთება: *„ამას ვერ ვიფიქრებდი, მე თუ აქ მომიწევდა მოსვლა. აქ რა მინდოდა. მთელი [ქალაქი] მიცნობს. იმიტომ ავდექი და ჩუმად წამოვედი, მაგრამ მაინც გაიგეს და ყველა შოკში ჩავარ-*

და. სად არისო? პანსიონატში რა უნდაო. მაგრამ აბა რა მექნა, მეტი გამოსავალი არ მქონდა, სად უნდა წავსულიყავი."(მარიამი).

ნაზი თითქოს კმაყოფილია ხანდაზმულთა სახლით, მაგრამ მას მაინც აქვს განცდა, რომ „უპატრონო ბავშვთა სახლშია" და რომ შემთხვევით მოხვდა იქ. ინტერვიუს ამგვარი განვითარება და ზემოთ აღნიშნული ასოციაცია ხაზს უსვამს იმას, რომ რესპონდენტები არ არიან კმაყოფილები თავად იმ ფაქტით, რომ ხანდაზმულთა სახლში არიან. მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, რასაკვირველია, არიან ისეთი რესპონდენტებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ოჯახში სხვა წევრებთან თანაარსებობას მარტო ურჩევნიათ ყოფნა. თუმცა, ძირითადად, კვლევის მონაწილეებს ძალიან უჭირთ იმასთან გამკლავება, რომ ხანდაზმულთა სახლში ცხოვრობენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ეს არ დაუმსახურებიათ და რომ თავს უიმედოდ გრძნობენ. ისინი საკუთარ თავს აღიქვამენ, როგორც უპატრონოდ დარჩენილებს. როგორც კატო აღნიშნავს: *„დავრჩი ასე უპატრონოდ. ისეთი ოჯახი მყავდა, საუკეთესო. ახლა დაბეჩავებული ვარ. რატომ დავრჩი ცოცხალი... ახლა მივხვდი, სიბერეში, თურმე არავის არ სჭირდები, თუ შენგან რამეს არ გამოელიან [...] სანამ ვჭირდებოდი ხალხს, ძალიან კარგი ვიყავი და ახლა, მე რომ მჭირდებიან, არავინ ვარ."* მზიაც ამბობს, რომ უბედურია თავისი მდგომაროების გამო და ვერ იფიქრებდა, თუ ცხოვრება ასე შეეცვლებოდა. ლალიც ამავეს გრძნობს: *„ბედი არა მწყალობს, რა ხდება, ვერ გავიგე. გათხოვების შემდეგ დღემდე ვერ გავიხარე. თუ რამეს ვინატრებ, უკუღმა მისრულდება. რომ ვინატრებ, ნეტავ ის ნივთი ჩემი იყოს, რომც მქონდეს, ან დამეკარგება, ან გამიტყდება" (ლალი).*

რესპონდენტების ამგვარი დამოკიდებულება მიუთითებს იმაზე, რომ მათ არ მოსწონთ თავისი ხანდაზმულთა სახლში ცხოვრების ფაქტი. ისინი ხშირად გამოხატავენ გულისტკივილს საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ ამის გამო. მეტიც, ამბობენ, რომ მათი ცხოვრება არასწორად წავიდა, რადგან მოუწიათ ხანდაზმულთა სახლში ცხოვრება.

კანონმდებლობის ანალიზი – ხანდაზმულთა სოციალური დაცვა

კოკა კილურაძე

1. ანალიზის მიზანი

ანალიზის მიზანია ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პოლიტიკისა და მისი განხორციელების სამართლებრივი მექანიზმების კვლევა საქართველოში. აგრეთვე ხანდაზმულთა სოციალური დაცვის მიმართულებით შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

2. ანალიზის პროცესში გამოყენებული მასალები

ანალიზის პროცესში გამოყენებულია შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები: საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვარის N 22 დადგენილება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვალის №52/ნ ბრძანება და სხვა აქტები.

ანალიზში მოცემული ხედვა და მოსაზრებები ეფუძნება ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის დაკვეთით მომზადებულ „ხანდაზმულთა დაწესებულებებში ბენეფიციართა მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევის“ შედეგებს.

3. კანონმდებლობის ანალიზი

სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სოციალური დაცვის კანონმდებლობა და უზრუნველყოს აღნიშნული სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა.

საქართველოს მოქალაქენი გამოხატავენ ურყევ ნებას რომ დაამკვიდრონ სოციალური სახელმწიფო და უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი[2].

---

[2] საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა

ადამიანის საყოველთაო უფლებები განმტკიცებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, დეკლარაციის 25-ე მუხლი აცხადებს: ***„ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და საკუთარი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში“***.

2002 წლის აპრილში მიღებულ იქნა დაბერების პრობლემების მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა, როგორც მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებული პირველი საერთაშორისო სტრატეგიული დოკუმენტი. რამდენიმე თვის შემდეგ ბერლინში შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), რათა შეემუშავებინა აღნიშნული გეგმის განხორციელების რეგიონალური სტრატეგია (RIS), რომელშიც წინა პლანზე წამოწეულ იქნა რეგიონალურ სიტუაციასთან დაკავშირებული საკითხები. დაბერების პრობლემების მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების რეგიონალური სტრატეგია (MIPAA/RIS) განსაზღვრავს 10 ვალდებულებას, რომლებშიც, თავის მხრივ, მოცემულია კონკრეტული ღონისძიებები და პოლიტიკური პრინციპები. ეს ვალდებულებებია:

1. პოლიტიკის ყველა მიმართულებით მოსახლეობის დაბერების საკითხის მეინსტრიმინგი;
2. ხანდაზმულთა საზოგადოებაში სრული ინტეგრაციისა და ჩართულობის უზრუნველყოფა;
3. მოსახლეობის დაბერების საპასუხოდ ეკონომიკის თანაბარი და მდგრადი ზრდის ხელშეწყობა;
4. სოციალური დაცვის სისტემის მოწესრიგება;
5. შრომის ბაზრისთვის შესაძლებლობის მიცემა, რეაგირება მოახდინოს მოსახლეობის დაბერების ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე;
6. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების და განათლების სისტემის ადაპტირების ხელშეწყობა;
7. ყველა ასაკში ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფის და დამოუკიდებელი ცხოვრების (მათ შორის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის) ხელშეწყობა;
8. ხანში შემავალ საზოგადოებაში ძირითადი აქცენტის გენდერულ მიდგომაზე გაკეთება;
9. ხანდაზმულებზე მზრუნველი ოჯახების და მათ წევრებში თაობათაშორისი სოლიდარობის ხელშეწყობა;
10. ზემოაღნიშნული გეგმის განხორციელების რეგიონალური სტრატეგიის დანერგვის და რეგიონალური თანამშრომლობის კონტექსტში მისი შემდგომი მოქმედებების ხელშეწყობა.

სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბების და მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფის მიზნით 2006 წლის 29 დეკემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“. კანონი ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე. კანონის ძირითადი პრინციპებია:

- სოციალური დახმარების, როგორც საჭიროების შეფასებაზე დაფუძნებული სახელმწიფო მხარდაჭერის, მაგრამ არა კანონით გარანტირებული უპირობო უფლების, აღიარება;
- სოციალური დახმარების სისტემის მეშვეობით სათანადო რესურსების მიზანმიმართული გადანაწილება სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე;
- სოციალური მომსახურების ალტერნატიული სახეების განვითარების ხელშეწყობა.[3]

კანონი განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის სოციალური დახმარების სახეებს და განსაზღვრავს სოციალური პაკეტით პოტენციურად მოსარგებლე ბენეფიციარებს. მათ შორის ცალკე გამოიყოფა ხანდაზმულები.

კანონის მიხედვით განისაზღვრება სოციალური დახმარების ცნებაც, ეს არის ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ღატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის.

3.1. სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემა

საქართველოში სოციალური დახმარების გაწევა არ წარმოადგენს რომელიმე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ექსკლუზიურ კომპეტენციას. კანონის მიხედვით, არსებობს სოციალური დახმარების სისტემა, რომელიც განიმარტება, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ორგანიზებული ან/და მისი მეთვალყურეობით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის, ღატაკი ოჯახის ან უსახლკარო პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. სისტემის ადმინისტრირება ხორციელდება შემდეგ დაწესებულებების მეშვეობით:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სააგენტო, რომელიც არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები.
- განსაზღვრულია სისტემის ადმინისტრირებაში ჩართული თითოეული ორგანოს კომპეტენციები.

3.1.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

ა) არეგულირებს და კოორდინაციას უწევს სოციალური დახმარების სისტემის ფუნქციონირებას;
ბ) ახორციელებს სოციალური დახმარების ეფექტიანობის მონიტორინგს;
გ) შეიმუშავებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
დ) ამტკიცებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს;

[3] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ

ე) საჭიროების შემთხვევაში ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – სპეციალიზებულ დაწესებულებებს, ამტკიცებს მათ დებულებებს (წესდებებს) და ნიშნავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს;
ვ) აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გაწეული სოციალური დახმარების შესახებ;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.1.2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური – სააგენტო

ა) წარმოადგენს ცენტრალურ და ადგილობრივ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქართველოს ტერიტორიაზე;
ბ) წარმოადგენს სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის ცენტრალურ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქართველოს ტერიტორიაზე;
გ) აწარმოებს ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზას და ადამიანის სოციალური უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა და სოციალური დახმარების ეფექტიანობის მონიტორინგის მიზნით უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა შესახებ ინფორმაციის საჯაროობას;
დ) აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრს;
ე) უზრუნველყოფს ფულადი სოციალური დახმარების ადმინისტრირებას;
ვ) უფლებამოსილია მიმოწერისას და თავის საქმიანობაში გამოიყენოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ავტომატიზებული საშუალებები, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა.

3.1.3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში;
ბ) უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით;
გ) აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას;
დ) უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას.
ე) ადგილობრივი სოციალური პროგრამების განხორციელების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებული სარგებლის შესახებ მონაცემთა სამინისტროსა და სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას და ამ ინფორმაციის შეთავსებას სააგენტოს მიერ წარმოებულ ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან, მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ფორმითა და პერიოდულობით.

3.1.4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე სოციალური დახმარების სფეროში კომპეტენტური ორგანოები

ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოების მიერ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მცხოვრები ოჯახებისათვის

გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს და მის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას;

ბ) უსახლკარო პირთა რეესტრის წარმოებასა და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას.

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების გადაცემა დასაშვებია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3.2. სოციალური დახმარების წყაროები

საქართველოში სოციალური დახმარების დაფინანსების შემდეგი წყაროები არსებობს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები;

დ) ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის მიერ გადახდილი თანხა;

ე) შემოწირულობები;

ვ) სხვა წყაროები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ფულადი სოციალური დახმარების დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, ამ კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარების სახეების შესაბამისად, დამატებით დააფინანსონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარებები.

3.3. ხანდაზმულთა განთავსება სპეციალიზირებულ დაწესებულებებში

ხანდაზმულებთან მიმართებაში სახელმწიფო სოციალური დაცვის ერთ-ერთი ძირითადი სახე არის მათი განთავსება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში, როგორც არაფულადი ხასიათის სარგებელი. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვალის №52/ნ ბრძანებით. ბრძანების მიხედვით, „სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დეტალურად არის განსაზღვრული სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობები, მომსახურების მიმღები პირები, კომპეტენტური ორგანოების უფლებამოვალეობები, ურთიერთობები, რომელიც დაკავშირებულია პირის სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურებით სარგებლობასთან.

ხანდაზმულებს კანონი იცნობს შემდეგი განმარტების შესაბამისად ***„სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირები“*** უფრო კონკრეტულად კი როგორც ***„ოჯახის მზრუნველობამოკლებული, თვითმომსახურების შეზღუდული უნარის მქონე სრულწლოვანი“*** (ტექსტში, ტერმინი ხანდაზმული, სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული).

კანონით არის განმარტებული აგრეთვე სპეციალიზირებული დაწესებულების ცნება ***„სპეციალიზებული დაწესებულება არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების***

სოციალურ მომსახურებას მთელი დღე-ღამის განმავლობაში ან/და დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში, გარდა პანსიონური მომსახურების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა."[4] თუმცა ამავდროულად მინისტრის ბრძანებით სპეციალიზირებული დაწესებულება კონკრეტდება შემდეგნაირად: ***„სპეციალიზებული დაწესებულება – სააღმზრდელო დაწესებულება (მ.შ. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი), სათემო ორგანიზაცია, დღის ცენტრი და დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, აგრეთვე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) ფილიალები – ხანდაზმულთა პანსიონატი, შშმ პირთა პანსიონატი და ბავშვთა სახლი).***"[5]

მინისტრის ბრძანებით კიდევ უფრო დაკონკრეტებულია აგრეთვე ბენეფიციართა სამიზნე ჯგუფი და ხანდაზმულებად მიიჩნევა პირები: მამაკაცი – 65 წლის ასაკიდან და ქალი-60 წლის ასაკიდან.

არსებობს შემდეგი პროცედურები, რომელიც უკავშირდება ხანდაზმულის სპეციალიზირებულ დაწესებულებაში მოთავსებას.

- მიმართვა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში განთავსების მიზნით;
- სპეციალიზირებულ დაწესებულებაში განთავსებაზე გადაწყვეტილების მიღება და განთავსება;
- სპეციალიზებული დაწესებულებიდან პირის გაყვანა/ამორიცხვა

3.3.1. მიმართვა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში განთავსების მიზნით

ხანდაზმულთა პანსიონატში მოთავსებას ექვემდებარება ხანდაზმული, ასევე შშმ პირი 60 წლის ასაკიდან, გარდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირისა, ხოლო სათემო ორგანიზაციაში მოთავსებას ექვემდებარება ხანდაზმული (მათ შორის, შშმ პირი, გარდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირისა), რომლის დაწესებულებაში მოსათავსებლად საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

ა) მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ბ) თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
გ) მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;
დ) მაძიებლ(ებ)ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).[6]

განთავსებაზე განცხადების წარდგენის უფლებამოსილება გააჩნიათ შემდეგ პირებს:

ა) სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების მსურველი;
ბ) სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის ოჯახის წევრი ან ამ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი;

---

[4] საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ" მუხლი 13

[5] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვალის №52/ნ ბრძანება, მუხლი2, პუნქტი 5[1]

[6] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვალის №52/ნ ბრძანება, მუხლი3, პუნქტი2

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თუ სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების მსურველი მარტოხელაა და არ შეუძლია განცხადების დამოუკიდებლად წარდგენა;
დ) სასამართლო;
ე) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

3.3.2. სპეციალიზირებულ დაწესებულებაში განთავსებაზე გადაწყვეტილების მიღება და განთავსება

მაძიებლის სააღმზრდელო დაწესებულებაში (დაფინანსების წყაროს მიუხედავად, მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სააღმზრდელო დაწესებულებაში), აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებაში (გარდა ნაპოვნი ბავშვისა და სხვა გადაუდებელი შემთხვევისა და მიუსაფარი ბავშვისა) განთავსებაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო.[7]

სათემო ორგანიზაციაში, ფონდის ფილიალებში – ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში გადაუდებელი წესით პირის განთავსებაზე სოციალური მუშაკის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე.

პირის ხანდაზმულთა ან შშმ პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში მოთავსების საკითხი რეგიონული საბჭოს მიერ განიხილება ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში და სათემო ორგანიზაციებში მოსათავსებელი მაძიებლების რეესტრის დადგენილი რიგითობის მიხედვით.

სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებასთან ერთად რეგიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ დაწესებულებაში ბენეფიციარის სრული სახელმწიფო დაფინანსებით/თანადაფინანსებით/დაფინანსების გარეშე მოთავსების თაობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე წერილობით ეცნობება დაინტერესებულ მხარეს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებას არ ექვემდებარებიან მაძიებლები:
ა) მწვავე ინფექციური დაავადებით;
ბ) ტუბერკულოზის აქტიური ფორმით;
გ) აქტიური სიფილისით;
დ) კანის გადამდები დაავადებით;
ე) თავისა და ზურგის ტვინის თიაქრების ღია ფორმით;
ვ) ცენტრალური ნერვული სისტემის მწვავე დაავადებით.

გადაუდებელი წესით, შეიძლება მოთავსდნენ პირები სააღმზრდელო დაწესებულებებში, ფონდის ფილიალებში-ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში, ასევე სათემო ორგანიზაციებში.

3.3.3. სპეციალიზებული დაწესებულებიდან პირის გაყვანა/ამორიცხვა

სათემო ორგანიზაციიდან, ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატიდან პირი გაყვანას/ამორიცხვას ექვემდებარება შემდეგ შემთხვევებში:
ა) ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის სურვილით;

---

[7] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვალის №52/ნ ბრძანება, მუხლი4, პუნქტი1

ბ) თუ მას დაენიშნა მეურვე/მზრუნველი;
გ) თუ პირი გადაყვანილ იქნა სხვა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში;
დ) ფონდის ან/და სათემო ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე, თუ ხანდაზმულთა პანსიონატში/შშმ პირთა პანსიონატში ან სათემო ორგანიზაციაში მომსახურების მიღებისას ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არ იქნა გადახდილი მომსახურების თანადაფინანსების კუთვნილი წილი;
ე) მომსახურების მიმწოდებლის მიმართვის საფუძველზე, ბენეფიციარსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის მომსახურების მიღების შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო;
ვ) მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

3.4. ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტები

მინიმალური სტანდარტები შესასრულებლად სავალდებულოა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგისტრირებული ყველა მიმწოდებლისთვის (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა), რომელიც ახორციელებს ხანდაზმულთა და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 24-საათიან მომსახურებას.

სტანდარტი №1 – ინფორმაცია მომსახურების შესახებ

მოსალოდნელი შედეგი – ბენეფიციარმა (მათ შორის, პოტენციურმა) და/ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა იცის მომსახურების მიზანი, განსახორციელებელი ღონისძიებები და მხარეთა უფლებამოვალეობები. მომსახურების მიმწოდებლის მხრიდან ინფორმაციის გაზიარება დაინტერესებული პირისთვის ხელს უწყობს ბენეფიციართა მოთხოვნილებების სათანადოდ დაკმაყოფილებას და საჭირო გადაწყვეტილების მიღებას.

სტანდარტი №2 – ბენეფიციარზე ორიენტირებული გარემო

მოსალოდნელი შედეგი – მომსახურების მიწოდება ხორციელდება ისეთ გარემოში, რომელიც შეესაბამება მომსახურების შინაარსს, დანიშნულებას და სათანადოდ აკმაყოფილებს ბენეფიციარის საჭიროებებს. მომსახურება ხორციელდება კეთილმოწყობილ, სუფთა და უსაფრთხო გარემოში.

სტანდარტი №3 – უსაფრთხოება და სანიტარიული მდგომარეობა

მოსალოდნელი შედეგი – ბენეფიციარები მომსახურებას იღებენ უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია სანიტარიული წესები.

სტანდარტი №4 – კონფიდენციალობის დაცვა

მოსალოდნელი შედეგი – ბენეფიციართა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის უფლების დაცვა უზრუნველყოფილია. ბენეფიციარი/მისი კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებულნი არიან, რომ მათი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობა დაცულია. ასევე, მათ იციან იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობა შეიძლება დაირღვეს.

სტანდარტი №5 – მომსახურებისას ინდივიდუალური მიდგომა

მოსალოდნელი შედეგი – ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურება მორგებულია მის განსაკუთრებულ საჭიროებებზე. მომსახურების ინდივიდუალური მიდგომა ზრდის ბენეფიციარის მოტივაციას – მონაწილეობა მიიღონ მომსახურების დაგეგმვის პროცესში.

სტანდარტი №6 – კვება

მოსალოდნელი შედეგი – ბენეფიციარებს აქვთ ხარისხიანი, უსაფრთხო და სათანადო ოდენობის საკვები, რომელიც შეესაბამება მათ მოთხოვნილებებს.

სტანდარტი №7 – სოციალური აქტიურობის ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი – ბენეფიციარები მონაწილეობენ კულტურულ, გასართობ და სხვა ღონისძიებებში, რაც ეხმარება მათ ფიზიკური, სოციალური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი აქტიურობის შენარჩუნებაში.

სტანდარტი №8 – ჯანმრთელობის დაცვა

მოსალოდნელი შედეგი – ბენეფიციარები ცხოვრობენ გარემოში, სადაც წახალისებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი და სათანადოდ ექცევა ყურადღება მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სტანდარტი №9 – უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები

მოსალოდნელი შედეგი – ბენეფიციარს/მის კანონიერ წარმომადგენელს აქვს პროტესტისა და მომსახურების მიწოდების ფორმისა და ხარისხის შესახებ უკუკავშირის გამოხატვის საშუალება;

უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები ცნობილია ბენეფიციარისთვის/მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის და მომსახურების მიწოდებაში ჩართული ნებისმიერი პირისთვის.

სტანდარტი №10 – ძალადობისგან და დისკრიმინაციისგან დაცვა

მოსალოდნელი შედეგი – ყველა ბენეფიციარი დაცულია ნებისმიერი სახის ძალადობისგან (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური) და იძულებისგან. ბენეფიციარებს აქვთ მომსახურებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა.

სტანდარტი №11 – მოთხოვნები პერსონალის მიმართ

მოსალოდნელი შედეგი – მომსახურებაში ბენეფიციართა მომსახურებას ახორციელებენ საკმარისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის თანამშრომლები

3.5. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) მექანიზმი

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატში და სათემო ორგანიზაციაში გაწეული მომსახურების დაფინანსება (თანადაფინანსება) ხდება ბენეფიციარის სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით და შესაძლებელია სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების მოპოვება.

ფონდის ფილიალში (სპეციალიზებულ დაწესებულებაში) ბენეფიციარისათვის გაწეული მომსახურების დაფინანსება (თანადაფინანსება) ხორციელდება რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი) საფუძველზე.

სათემო ორგანიზაციების, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრების, მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და დედათა და ბავშვთა თავშესაფრების მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

თანადაფინანსების შემთხვევაში, ბენეფიციარი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი ვალდებულია მომსახურების მიღების თვის 15 რიცხვის ჩათვლით მომსახურების მიმწოდებლის შესაბამის ანგარიშზე გადაიხადოს თანადაფინანსების კუთვნილი წილი.

3.6. შვილების მოვალეობები მშობლების მიმართ

სახელმწიფო და მისი სოციალური დაცვის სისტემა არ არის ხანდაზმულების ერთადერთი იმედი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შვილებს გააჩნიათ კონკრეტული ვალდებულებები მშობლების მიმართ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს შემდეგ პირობებს:

შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.

თუმცა არსებობს საფუძვლები როცა შვილები თავისუფლდებიან მშობლების რჩენის ვალდებულებისგან, კერძოდ:

- შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას.
- მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას.

თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუუნარო მშობლის რჩენაში, რომელიც დახმარებას საჭიროებს, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ამ თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ.

სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას შვილებს, რომლებიც ალიმენტს უხდიან შრომისუუნარო მშობლებს, შეიძლება დაეკისროთ მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (მშობლების მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

თუ შეიცვალა მშობლების ან შვილების მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს იმ თანხის ოდენობას, რომელიც უნდა გადაიხადონ მშობლებმა სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილების სასარგებლოდ, ან შვილებმა – შრომისუუნარო მშობლების სასარგებლოდ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი მათგანის სარჩელით შეცვალოს ალიმენტის დადგენილი ოდენობა.

3.7. სამისდღეშიო რჩენა

ხანდაზმულებს აქვთ შესაძლებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით გააფორმონ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, კოდექსით განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულების დადების შემდეგი პირობები:

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ხოლო სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან

სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკა

სახელმწიფოს ხანდაზმულებზე ზრუნვის შესახებ პოლიტიკა დეკლალირებულია სხვადასხვა სახელმწიფო კონცეფციებსა და სამოქმედო გეგმებში. მათ შორის მნიშვნელოვანია პარლამენტის დადგენილებები. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ.

მნიშვნელოვანია თაობებს შორის სოლიდარობის შენარჩუნება. ტრადიციულად, საქართველოში მრავალთაობიანი ოჯახები ის მთავარი მექანიზმია, რომელიც თაობების ერთმანეთზე ზრუნვას და ერთმანეთისთვის დახმარების გაწევას უზრუნველყოფს. მსოფლიოს სხვა ბევრი ქვეყნის მსგავსად, საქართველოში ოჯახი ნუკლეარული ოჯახის მიმართულებით იცვლება. ამდენად, აუცილებელია კარგად გააზრებული პოლიტიკის შემუშავება, რათა თაობების ძირითადი როლები შენარჩუნდეს და კორექტირება მრავალთაობიან ერთობაში მოხდეს. საქართველოს საზოგადოებაში თაობებს შორის კავშირის გამყარება დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად უნდა იქცეს. მიზანშეწონილია, მკაფიოდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან პოლიტიკა, რომელიც ხანდაზმულთა ამჟამინდელი თაობების საჭიროებებს შეესაბამება, და პოლიტიკა, რომელიც ხანდაზმულთა მომავალი თაობებისთვისაა საჭირო.

ასაკზე მორგებული გარემო არის ისეთი გარემო, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანებისათვის. ფიზიკური და ფსიქოსოციალური გარემო ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს ყველა მოქალაქისათვის.

ასაკზე მორგებული ფიზიკური და ფსიქოსოციალური გარემოს უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტებია:

ა) სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისათვის საკანონმდებლო ინიციატივებისა და შესაბამისი პროგრამების განხორციელება;

ბ) სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ოჯახებსა და დაწესებულებებში ხანდაზმულებისადმი არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილება; ისეთი ღონისძიებების განხორციელება და იმგვარი ინფრასტრუქტურის არსებობა, რომლებიც მიტოვებული ან/და არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის მსხვერპლი ხანდაზმულების რეაბილიტაციას უზრუნველყოფს;

დ) ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების აღქმის და მათი ცხოვრების, პრობლემების, ინტერესებისა და სხვა საკითხების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების გაუმჯობესება.

ამ სფეროს ამოცანების შესრულებისათვის საინფორმაციო საფუძვლის შექმნის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კვლევების ჩატარება შემდეგ საკითხებზე:

ა) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ახალგაზრდებისა და უფროსი თაობის წარმომადგენლების საჭიროებებისა და მოლოდინების შეფასება (მათი ასაკის, სქესის, შემოსავლისა და ფუნქციური შესაძლებლობების მიხედვით);

ბ) ოჯახში, თემსა და საზოგადოებაში არსებული თაობათაშორისი ურთიერთობების შესწავლა; სოფლებსა და ქალაქებში ოჯახების ფუნქციებსა და სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გაანალიზება;

გ) სხვადასხვა დონეზე მიწოდებული სხვადასხვა ფორმის სოციალური მომსახურების ვარიანტების შესწავლა, სხვადასხვა ასაკის ადამიანების გრძელვადიანი მოვლის სოციალური და სამედიცინო კომპონენტების ჩათვლით.

4.1. საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის ძირითადი მიმართულებები და მიზნები

- მოსახლეობის დაბერების მეინსტრიმინგი, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

მიზანი: მოსახლეობის დაბერების მეინსტრიმინგისათვის ხელშემწყობი გარემოსა და ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა.

- ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება და ჩართულობა, ასაკობრივად შეუზღუდავი გარემოს შექმნა

მიზანი: ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად ასაკობრივად შეუზღუდავი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს ხანდაზმულთა სატრანსპორტო, საცხოვრებელი და კომუნალური მომსახურებებით უზრუნველყოფას, ხანდაზმულების, როგორც მომხმარებლების, მხარდაჭერას, მათი სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ჩართულობის და კომუნიკაციის უზრუნველყოფას.

- ხანდაზმულთა აღქმა და მათი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება

მიზანი: ხანდაზმულთა აღქმის და მათი (ხანდაზმულების ცხოვრების, პრობლემების, ინტერესებისა და სხვა საკითხების) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების გაუმჯობესება.

- ხანდაზმულთა სოციალური დაცვა

მიზანი: ხანდაზმულთა სათანადო სოციალური დაცვით უზრუნველყოფა დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შედეგების გათვალისწინებით.

- ხანდაზმულთა შრომა და დასაქმება

მიზანი: ხანდაზმულთა შრომითი პოტენციალის განვითარებისა და გამოყენების ხელშეწყობა.

- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლება

მიზანი: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების უზრუნველყოფა და განათლების სისტემის ადაპტირება ცვალებადი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაბამისად.

- ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვა და კეთილდღეობა

მიზანი: ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

- დაბერების პროცესში მყოფ საზოგადოებაში გენდერული მიდგომის მეინსტრიმინგი

მიზანი: დაბერების პროცესში მყოფ საზოგადოებაში გენდერული მიდგომის მეინსტრიმინგის უზრუნველყოფა.

- თაობათაშორისი სოლიდარობა

მიზანი: თაობათაშორისი სოლიდარობის ხელშეწყობა.

- მიგრაცია

მიზანი: მიგრაციის გამოწვევებთან დაკავშირებით ადეკვატური პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის, ხანდაზმულებთან მიმართებით.

- ქვეყნის საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაცია

მიზანი: ქვეყნის საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

- კვლევა და მონაცემთა შეგროვება

მიზანი: კვლევის, მონაცემთა შეგროვებისა და ტენდენციების ანალიზის უზრუნველყოფა მოსახლეობის დაბერების საკითხზე მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრისათვის.

4.2. ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში გასათვალისწინებელი საკითხები

ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- აქტიური და ჯანსაღი სიბერის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება ადრეულ ასაკში და ასეთი ინფორმაციის ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის მიწოდება; პრევენციისა და სკრინინგის პროგრამების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდა და მათი შემდგომი პოპულარიზაცია;
- ხანდაზმულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე მორგებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მედიკამენტების ხელმისაწვდომობის ზრდა, განსაკუთრებით – ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის; ფარმაცევტული პროდუქტების ფასების შემცირების ხელშეწყობა გენერიკული მედიკამენტების (generics) წილის გაზრდით და ფარმაცევტულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობით;
- საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში ხანდაზმულებზე გრძელვადიანი ზრუნვის ელემენტების შეტანა; გერიატრიული ზრუნვის დაწესებულებების, პალიატიური ზრუნვის და სახლში მზრუნველობის მომსახურებების (ჯანმრთელობის დაცვის სერვისების) გაუმჯობესება ყველა დონის შემოსავლის მქონე ხანდაზმულთათვის;
- ხანდაზმულთათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა როგორც სოფლად, ისე ქალაქად;
- მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის რიცხოვნობის ზრდა, მისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, განსაკუთრებით – ხანდაზმული პაციენტების მდგომარეობის მართვის შესახებ სწავლების (მათ შორის, უწყვეტი სამედიცინო განათლების) გაუმჯობესება;

- სოციალური მუშაკის სპეციალიზაციის საჭიროების განსაზღვრა და მასზე დაყრდნობით ტრენინგების შემუშავება და ჩატარება;
- ხანდაზმულთათვის მომსახურების მიმწოდებელთა წრის გაფართოება და მომსახურების დივერსიფიკაცია შესაბამისი მარეგულირებელი ბაზისა და წახალისების სისტემის შექმნით როგორც კერძო, ისე არამომგებიანი ორგანიზაციებისათვის, მოხალისეობის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ჩათვლით;
- ზრუნვის ხარისხის მართვის ერთიანი, ინტეგრირებული სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს შესაბამის ინსტიტუტებსა და სახლში ხანდაზმულებზე ზრუნვისთვის გაიდლაინებისა და სტანდარტების შემუშავებასა და რეგულარულ განახლებას, პერსონალისთვის შესაბამისი ტრენინგის ჩატარებას და მის აკრედიტაციას და მონიტორინგის მექანიზმების შექმნას; ხანდაზმულებისადმი ავად მოპყრობის პრევენციის უზრუნველყოფა;
- ჯანმრთელობის დაცვის მართვის ერთიანი, ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შექმნა;
- არსებული სერვისებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციისა და ინდივიდუალური კონსულტაციების ხელმისაწვდომობის გამარტივება, მაგალითად, ინტერნეტპორტალის მეშვეობით; საინფორმაციო კამპანიის წარმოება ისეთი მომსახურების დესტიგმატიზაციისათვის, როგორიცაა ინსტიტუციური ზრუნვა, და, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ზრდის შესაბამისად, ამ მომსახურებისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის დაცვისა და ზრუნვის სექტორებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; საქართველოს მთავრობას, სამედიცინო სფეროს და არასახელმწიფო მომსახურების მიმწოდებლებს შორის ინფორმაციის მუდმივი გაცვლა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ურთიერთდახმარება/შევსება.

4.3. საპენსიო რეფორმა

დემოგრაფიული დივიდენდის გამოყენებისთვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ადამიანებს დანაზოგების შესაქმნელად უფრო ხანგრძლივი და ჯანსაღი ცხოვრებისათვის წაახალისებს. დაგეგმილი საპენსიო რეფორმა ითვალისწინებს ორ მიდგომას:

ა) არსებული სოციალური პენსიების ინდექსაცია ინფლაციის დონის შესაბამისად;

ბ) მომავალი პენსიონერების მიერ კერძო დანაზოგების შექმნის მექანიზმების დანერგვა. მათი დანერგვის მიზანია ადამიანის მიერ დამატებითი დანაზოგების შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

აღნიშნული დანაზოგები შეიძლება სახელმწიფო ეკონომიკისათვის მეტად საჭირო ინვესტიციების დამატებითი წყაროც გახდეს. უნივერსალური სოციალური პენსია მნიშვნელოვანი მექანიზმია ხანდაზმულთა სიღარიბისა და უთანასწორობის შესამცირებლად. ამავე დროს, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს რეფორმირებული საპენსიო სისტემის თანაბარი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით – თვითდასაქმებულებისათვის და არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულებისათვის.

5. რეკომენდაციები

სახელმწიფო ვალდებულია ხანდაზმულთა სოციალური უფლებების რეალიზების მიზნით საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით განაზღვრულ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნას სტრატეგიული მნიშვნელობის პოლიტიკის დოკუმენტები, სადაც განისაზღვრება:

- სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა შესასრულებელი ვალდებულებები.
- გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.
- შესაბამისი ვადები.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავს პოლიტიკას, წარმოადენს კანონმდებლობის და საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკაში რეალიზების საფუძველს.

მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში რეკომენდირებულია:

რეკომენდაცია 1 –	ხანდაზმულებთან მიმართებაში სახელმწიფომ განსაზღვროს მიზნობრივი სოციალური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება და უპასუხებს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ საჭიროებებს. სპეციალურ დაწესებულებაში ხანდაზმულის მოთავსება განხილული უნდა იყოს, როგორც მხოლოდ დროებითი პრევენციული ხასიათის ღონისძიება, რომელიც არ იქნება წინააღმდეგობაში მისი ოჯახთან ინეგრაციის და რესოციალიზაციის მიზნებთან.

რეკომენდაცია 2 –	ხანდაზმულების სპეციალურ დაწესებულებებში მოთავსებასთან დაკავშირებით უნდა გაძლიერდეს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი, სოციალურ მუშაკს უნდა გააჩნდეს ხანდაზმულის მდგომარეობის შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის ზუსტი მეთოდოლოგია. სოციალური მუშაკი უნდა იყოს პირველადი რგოლი, რომელიც აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით განსაზღვრავს ხანდაზმულის სოციალურ, ეკონომიკურ, ჯანმრთელობის მდგომარეობას. შესაბამისად, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მოამზადებს დასკვნას ხანდაზმულისთვის შესაბამისი სერვისის გაწევის შესახებ. ხანდაზმულთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს ხანდაზმულის ჭეშმარიტ ინტერესებს, რაც მდგომარეობს საკუთარ ოჯახთან რეინტეგრაციაში. შესაბამისად, სოციალური მუშაკის ფუნქცია მდგომარეობს არა მხოლოდ მისი მდგომარეობის და საჭიროებების შეფასებაში, არამედ პარალელურად ოჯახთან მუშაობაში, რათა ხელი შეუწყოს ხანდაზმულის ოჯახურ გარემოში და საზოგადოებაში დაბრუნებას, ასევე მოახდენს საჯარო ფინანსების არაეფექტიანად ხარჯვის პირველად პრევენციას.

რეკომენდაცია 3 – სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სასამართლო ინსტიტუტის გააქტიურებას ამ მიმართულებით და შესთავაზოს ხანდაზმულებს უფასო საადვოკატო სერვისი, რომელიც მათ დაეხმარება, მოსთხოვონ შვილებს იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც მათ აკისრიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
სოციალური მომსახურების სააგენტომ, სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობით უნდა შეასრულოს მედიატორის ფუნქცია, რომ ხანდაზმულებს დაეხმაროს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების გაფორმებაში როგორც სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე დაეხმაროს შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირების მოძიებაში.

რეკომენდაცია 4 – სახელმწიფომ საჯარო ფინანსები უნდა დახარჯოს მაქსიმალურად ეფექტიანად. ხანდაზმულებს, რომელთაც გააჩნიათ ფასეულობის მქონე უძრავი ან მოძრავი ქონება, აღნიშნული ქონების გარანტიით, შესთავაზოს როგორც სპეციალიზირებულ დაწესებულებებში გათავსებით, ასევე შინმოვლის სერვისი. ხოლო ხანდაზმულის გარდაცვალების შემდეგ საგარანტიო ფასეულობა მიმართოს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ. არასამართლიანია და ფინანსების არაეფექტურ ხარჯვას წარმოადგენს, როცა ხანდაზმულის ქონება რჩება შვილს, რომელიც არ ასრულებს მის კანონით გათვალისწინებულ ვალებულებას, ხოლო ხანდაზმულის რჩენა ეკისრება სახელმწიფოს საჯარო ფინანსების ხარჯზე.

რეკომენდაცია 5 – სახელმწიფომ სპეციალიზირებულ დაწესებულებების განვითარებასთან ერთად უნდა იზრუნოს შინმოვლის სერვისის განვითარებაზე, მათ შორის ადგილობრივი რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციების, სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით და შეუქმნას მათ სხვადასხვა დამატებითი სამოტივაციო მექანიზმები.

რეკომენდაცია 6 – სახელწიფომ უზრუნველყოს ხელმისაწვდომი გარემო ხანდაზმულებისთვის, სრულად ისარგებლონ მათ ყველა სახელმწიფო თუ მუნიციპალური სერვისით. განსაკუთრებით ხელმისაწვდომი სამედიცინო და სადაზღვევო სერვისებით.

რეკომენდაცია 7 – სახელმწიფომ უზრუნველყოს ხანდაზმულების, როგორც განსაკუთრებით მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახური ან სხვა სახის ძალადობისგან თავდაცვის ეფექტიანი მექანიზმი, მათ შორის სოციალური მუშაკის და უბნის ინსპექტორების აქტიური მონაწილეობით მოხდეს მათთვის შესაბამისი გაიდლაინების და ტრენინგების შეთავაზება. პარალელურად გაძლიერდეს საპოლიციო კონტროლი ამ მიმართულებით.

გრძელვადიან პერსპექტივაში რეკომენდირებულია:

რეკომენდაცია 8 –	სახელმწიფომ განახორციელოს საპენსიო რეფორმა და უზრუნველყოს დაგროვებითი საპენსიო ფონდების შექმნა, რაც სახელმწიფოს გაუჩენს ეკონომიკის სტიმულირების დამატებით ინსტრუმენტს, ხოლო მოქალაქეებს უზრუნველყოფს გარანტირებული ღირსეული სიბერით.

რეკომენდაცია 9 –	სახელმწიფომ უზრუნველყოს ზრდასრულთა განათლების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ხანდაზმულებს საშუალებას მისცემს საკუთარ სოფელსა თუ ქალაქში დაეუფლოს მისთვის ახალ პროფესიას ან გაიუმჯობესოს უნარები საკუთარ პროფესიაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ უნარების განვითარებას და სწრაფვას, იყვნენ სასარგებლო საზოგადოებისთვის და ოჯახისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი დასაყრდენი უნდა გახდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების უზრუნველყოფის პრინციპი.

რეკომენდაცია 10 –	სახელმწიფომ საგანმანათლებლო პროგრამებში უზრუნველყოს თაობათა შორის ინტეგრაციის მნიშვნელობის ხაზგასმა და მოახდინოს ამ თემის პოპულარიზაცია მოსწავლეებში და სტუდენტებში. ასევე უზრუნველყოს სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება ამ მიზნით.

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. 3
ტელ: 7 64 34

თბილისი, ბარნოვის ქ. 84
ტელ: 555 689 896
ელ.ფოსტა: ypuozurgeti@yahoo.com

Young Pedagogues' Union

Ozurgeti, 3 Gabriel Episkoposi st.
Phone: 7 64 34

Tbilisi, 84 Barnovi st.
Phone: 555 689 896
E-mail: ypuozurgeti@yahoo.com

www.apk.ge
www.facebook.com/apk.ge